



გამოცემის  
104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გაქვეყნდა  
საბუნების  
პროგნოზით  
მოსალოდნელია  
მთიანეთის  
მთიანეთის



დღეს მოსალოდნელია წვიმა, მთაში - თოვან, ზოგან - ძლიერი, დასავლეთის მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წაშში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 7-12, მთიან რაიონებში - 1-6 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი ყინვა.

ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 771 მილიმეტრი. მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

№1 (25.179)

17 იანვარი, 2025 წ.

50 თეთრი

# ევროპის ზამთრის კურორტებს შორის „ბოლარძი“ პირველ ადგილზეა

გავლენიანი სამოგზაურო პლატფორმა European Best Destinations-ი ევროპის საუკეთესო ზამთრის კურორტების რეიტინგს აქვეყნებს. სიაში სამთო კურორტი „გოდერძი“ პირველ ადგილზეა. 12 საუკეთესო მიმართულებას შორის, საქართველოს კურორტთან ერთად, საფრანგეთის, იტალიის, შვეიცარიისა და ავსტრიის სამთო-სათხილამურო მიმართულებები მოხვდა. ინფორმაციას საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აქვეყნებს

„თუ თქვენ ევროპაში საუკეთესო სათხილამურო თავდასავლებს, ყველაზე ლამაზ სამთო ტრასებს, საუკეთესო ინფრასტრუქტურას და უბრალოდ, ზამთრის არდადეგებზე გარანტირებულ თოვლს ეძებთ, მაშინ დაგეგმარებით. აღმოაჩინეთ აჭარის რეგიონში უმაღლესი ხარისხის კურორტი გოდერძი, რომელიც წელს ევროპის ყველაზე ცნობილ კურორტებზე წინ დასახელდა. აქ აღმოაჩინეთ მომხიბვლელი წარსულისა და თანამედროვე ინოვაციების ნაზავს“, - წერს European Best Destinations-ი.

სამოგზაურო პლატფორმა მკითხველს ინფორმაციას აწვდის აჭარის სამთო კურორტის უპირატესობების შესახებ.

„კურორტი გოდერძი ზამთრის სამოთხეა მოთხილამურებისა და სნოუბორდისტებისთვის. აჭარაში მდებარე კურორტი ევროპის მთავარი სამთო მიმართულებაა, რომელიც ზამთრის საუკეთესო თავდასავლებს გთავაზობთ. აქ ზამთრის გრძელი სეზონი გელოდებთ. ნოემბრიდან აპრილის შუა რიცხვებამდე თოვლი გარანტირებულია. კურორტის უნიკალური ალპური და სუბტროპიკული კლიმატის ნაზავი მაღალი ხარისხის თოვლს წარმოქმნის, რაც ნამდვილი სამოთხეა მოთხილამურებისთვის. გოდერძი თანამედროვე ინფრასტრუქტურით, სამთო საბაგიროებით, გონდოლებითა და ტრასებით გამოირჩევა. კურორტი მორგებულია როგორც დამწყებ, საოჯახო, ასევე, პროფესიონალ მოთხილამურებებზე. გოდერძი ევროპის ერთ-ერთი ულამაზესი ზამთრის კურორტია, აქ ბუნების მშვენიერება მოქმედებს განწყობაზე და მშვიდ ფონს გთავაზობთ სრიალისა და დასვენებისთვის“, - წერს სამოგზაურო პლატფორმა და მკითხველს ქართული სტუმარმასპინძლობის შესახებ მოუთხრობს.



ბუნების მშვენიერება მოქმედებს განწყობაზე და მშვიდ ფონს გთავაზობთ სრიალისა და დასვენებისთვის“, - წერს სამოგზაურო პლატფორმა და მკითხველს ქართული სტუმარმასპინძლობის შესახებ მოუთხრობს.

# №4 საბავშვო ბაღის გამაგრება-რეაბილიტაცია დასრულდა

მელიქიშვილის ქუჩაზე №4 საბავშვო ბაღის გამაგრება-რეაბილიტაცია დასრულდა. 315 ალსაზრდელისათვის საღმრთაღმრთო პროცესი განახლებულ, უსაფრთხო და კომფორტულ გარემოში გაგრძელდება. პროექტის ფარგლებში კეთილმოწყობილია სივრცე და ეზო. სამუშაოებისთვის 2 მილიონ 460 ათასი ლარი იყო გათვალისწინებული. №4 საბავშვო ბაღს ბათუმის მერია არჩილ ჩიქოვანი ეწვია და განახლებულ გარემოში სწავლის დაწყება მიულოცა.

ბათუმის მერია აქტიურად განაგრძობს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. გასულ



წელს, ნანეიშვილისა და ვაჟა-ფშაველას ქუჩებზე ექსპლუატაციაში შევიდა 2 ახალი საბავშვო ბაღი. აერობორტის გზატკეცილზე მალე დასრულდება 200 ალსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა, 2 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა დაიწყო ივანე მესხის პირველ ჩიხსა და ნიკო მუსხელიშვილის ქუჩაზე. პარალელურად, ხორციელდება 3 საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია და ენერგოეფექტურად გარდაქმნის სა-

მუშაოები. მუნიციპალური განვითარების ფონდი 6 საბავშვო ბაღს უტარებს რეაბილიტაციას, რომელიც ჯამში 1400 ალსაზრდელს მოემსახურება. მნიშვნელოვანია, რომ მოთხოვნა მზარდია და ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ მაქსიმალურად დაგვართოთ მოსახლეობის საჭიროებები საბავშვო ბაღების უსაფრთხოებისა და სტანდარტიზაციის ნაწილში, - აღნიშნა არჩილ ჩიქოვანმა.

ISSN 2720-8702



9 772720 870003

## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციის «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დანებებით

თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს. გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან!» ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი! წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.

ღარაგამო «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! = 27-48-93



# ბრიფინგი პროკურატურაში

მანანა ტაპიამ 577 10 15 17

საქართველოს პროკურატურამ - არჩევნების შესახებ გაყალბების ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების შედეგად შედეგებთან დაკავშირებით, სპეციალური ბრიფინგი გამართა

როგორც პროკურატურის განცხადებაში ვკითხულობთ, გამოძიების მიერ, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, დაიგეგმა და ჩატარდა რამდენიმე საგამოძიებო ექსპერიმენტი, რის შედეგადაც დადგინდა, რომ საპარლამენტო არჩევნების დროს გამოყენებული ვერტიკალური აპარატების შეუძლებელია ერთი და იგივე პირის მიერ სხვადასხვა საარჩევნო უბანზე ხმის მიცემა:

„გვსურს, საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია 2024 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების საგარეულო გაყალბების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ამ ეტაპზე არსებული შედეგების შესახებ.

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო დეპარტამენტში მიმდინარეობს საგამოძიებო არჩევნების შესახებ გაყალბების ფაქტთან დაკავშირებით. საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების მოცულობიდან და მასშტაბურობიდან გამომდინარე, სწრაფი და ეფექტური გამოძიების უზრუნველსაყოფად, გამოძიების პროცესში ასევე ჩართულია თბილისის და საოლქო პროკურატურების ყველა საგამოძიებო დანაყოფი.

გამოძიების შესწავლის საგანია სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის, საქართველოს პრეზიდენტის, სახალხო დამცველის, არასამთავრობო სექტორის, სადამკვირვებლო ორგანიზაციების, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, მასმედიის, ასევე ცალკეულ პირთა მიერ საჯაროდ, ან სოციალური ქსელების მეშვეობით გაკეთებული და საქართველოს პროკურატურაში შემოტანილი განცხადებები, რომლებიც არჩევნების გაყალბების საგარეულო ფაქტებზე მიუთითებდნენ.

გამოძიების ფარგლებში ამ ეტაპზე უკვე ჩატარებულია რვაასამდე საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება. მათ შორის უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით ჩატარდა არაერთი საგამოძიებო ექსპერიმენტი და დაინიშნა შესაბამისი ექსპერტები.

არსებული და მოსალოდნელი მტკიცებულებების დასაცავად, გამოძიების მიერ საწყის ეტაპზე დაილქა ცესკოს შესაბამისი საცავები, სადაც განთავსებული იყო ამომრჩევლთა ვერტიკალური აპარატები. ხსენებული აპარატებიდან ინფორმაციის მოსაპოვებლად ჩვენ მიერ მოწვეული იქნენ შესაბამისი ცოდნის უცხოელი ექსპერტები, კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ლიცენზირებული კომპანიის, „სმარტმატიკის“ წარმომადგენლები. „სმარტმატიკის“ ექსპერტთა უშუალო ჩართულობით, გამოძიების მიერ სასამართლოს შესაბამისი განჩინების საფუძველზე,

2300-მდე ვერტიკალური აპარატიდან ამოღებულია მეხსიერების ბარათები, რომლებზეც განთავსებულია თითოეული საარჩევნო უბანზე ხმის მისაცემად გამოცხადებული ამომრჩევლის შესახებ ინფორმაცია.

ასევე, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ვერტიკალური აპარატებიდან გამოთხოვილია მასში არსებული გამოძიებისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რის შემდეგაც 2024 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გამოყენებული ყველა ვერტიკალური აპარატი დაილქა.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, პოლიტიკური პარტიების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების, ასევე, სხვადასხვა პირის მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადებების და გამოკითხვისას მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, საპარლამენტო არჩევნების საგარეულო მასობრივი გაყალბება გამოიწვია ერთი ამომრჩევლის მიერ ერთი და იმავე ან სხვადასხვა საარჩევნო უბანზე ხმის არაერთგვარადა მიცემა, რასაც საარჩევნო უბანზე უსარისხო მარკირების სითხის გამოყენებამ შეუწყო ხელი.

აღნიშნულის შესასწავლად გამოძიების მიერ საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით დაიგეგმა და ჩატარდა რამდენიმე საგამოძიებო ექსპერიმენტი. ექსპერიმენტის ფარგლებში, მონაწილე პირების მიერ შეიქმნა რეალური საარჩევნო უბნების ანალოგიური საარჩევნო უბნები, რის შემდეგაც მოხდა ერთი და იგივე პირის მიერ ორ განსხვავებულ უბანზე ხმის მიცემის მცდელობა. ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად დადგინდა, რომ საპარლამენტო არჩევნების დროს გამოყენებული ვერტიკალური აპარატებით შეუძლებელია ერთი და იგივე პირის მიერ სხვადასხვა საარჩევნო უბანზე ხმის მიცემა. ჩატარებული ექსპერიმენტით, ასევე გამოირიცხა ერთი ამომრჩევლის მიერ ერთი და იგივე საარჩევნო უბანზე ხმის განმეორებითი ან/და მრავალჯერადად მიცემის შესაძლებლობა.

ექსპერიმენტის ფარგლებში ასევე დადგინდა, რომ ვერტიკალური აპარატში ერთი რომელიმე საარჩევნო უბნის ამომრჩევლთა სიის გაქტიურების შემთხვევაში, იმავე აპარატში სხვა უბნის მონაცემების გაქტიურება შეუძლებელია.

აქედან გამომდინარე, ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტების შედეგებით და მასში მონაწილე საერთაშორისო ექსპერტების გამოკითხვით გამოირიცხა ერთი ამომრჩევლის მიერ როგორც სხვადასხვა, ასევე ერთსა და იმავე საარჩევნო უბანზე განმეორებითი თუ მრავალჯერადად ხმის მიცემის თეორიული შესაძლებლობა.

მოცემული ფაქტი ასევე დადასტურებულია ცესკოდან გამოთხოვილი საერთაშორისო აუდიტორული დასკვნებითაც.

მიუხედავად საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგებისა, გამოძიების მიერ დაბატებით დაინიშნა კომპლექსური კომპიუტერული ექ-



სპერტიზა, რათა საქსპერტო კვლევების შედეგად დადგინდეს ამომრჩევლთა ორმაგი ან/და არაერთგვარადად ვერტიკალური შესაძლებლობა. ექსპერტიზის შესწავლის საგანს ასევე წარმოადგენს ის ვარაუზები, არჩევნების დასრულების მომენტიდან ექსპერტიზის წინაშე გამოძიების მიერ ინფორმაციის წარდგენამდე ხომ არ განხორციელდა რამე სახის ხელოვნური ჩარევა ვერტიკალური აპარატებში და ცესკო ინფორმაციაზე.

გამოძიების მსვლელობისას ასევე ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს გამოყენებულ მარკირების სითხის ვარაუზებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ამისათვის, გამოძიების მსვლელობისას ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დაინიშნა ქიმიური ექსპერტიზა. ექსპერტიზას შეესაბამისი კვლევისათვის წარედგინა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების დღეს გამოყენებული მარკირების სითხის (როგორც გამოყენებული, ასევე გამოუყენებელი) ნიმუშები და მარკირების დადგენისთვის საჭირო სპეციალური ფარები. ჩატარებული კვლევის დადგენილია, რომ ექსპერტიზაზე წარდგენილი მარკირების სითხე ხელის თითის ფრჩხილზე და კანზე დატანის შემთხვევაში, ულტრაიისფერი სხივების დანათებით ლუმინისცირებას (ნათებას) ინარჩუნებს არანაკლებ 12 საათის განმავლობაში, ხელის მრავალჯერადად დაბანის შემთხვევაშიც კი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ყველა იმ პირს, ვინც მიუთითებდა არჩევნების საგარეულო გაყალბების ფაქტებზე, მიეცა შესაძლებლობა, მიეწოდებინა მის ხელთ არსებული ინფორმაცია თუ მტკიცებულებები მათ მიერვე გაუღებულ ფაქტებთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად საჯაროდ გაცხადებული სურვილისა, გამოძიებასთან თანამშრომლობის თაობაზე, მათმა დიდმა ნაწილმა უარი განაცხადა საგამოძიებო ორგანოში გამოკითხვაზე და სასამართლოში

გამოკითხვა მოითხოვა, ნაწილმა კი საერთოდ უარი განაცხადა თანამშრომლობაზე.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოში დაკითხვისას მოწვეულ უმეტესმა ნაწილმა გამოძიებას ვერ მიაწოდა ვერაწიური სახის მტკიცებულება და მათი არგუმენტაცია მხოლოდ მესამე პირების მიერ მიწოდებულ დაუზუსტებელ ინფორმაციას ეყრდნობოდა. ისინი აპელირებდნენ მასმედიაში გაუღებულ ფაქტებზე, ხოლო ცალკეულმა მოწვეულმა გამოძიებას განუცხადეს, რომ მათ მიერ გაკეთებული განცხადებები არჩევნების გაყალბების კონკრეტულ ფაქტებზე ემსახურებოდა პრევენციულ ღონისძიებას და არ შეიცავდა რეალურ ფაქტებზე დამყარებულ ინფორმაციას.

მიუხედავად ამისა, გამოძიების მიერ გამოკითხა იმ პირთა უმრავლესობა, ვინც დასახელდა რაიმე სახის ქმედებაში მონაწილე და ფაქტების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით ჩატარდა სათანადო საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებები.

გამოძიების მიერ, ასევე, გამოკითხა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, კომისიის ცალკეული წევრები და სხვა თანამშრომლები, რომლებიც ფლობდნენ ინფორმაციას არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით.

ამ ეტაპზე, სისხლის სამართლის საქმეზე გამოკითხულია თხანამდე ფიზიკური პირი და მოწვეულა გამოკითხვის პროცესი ამჟამადაც გრძელდება. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მოვუწოდო გამოსაკითხ პირებს, თანამშრომლონ საგამოძიებო ორგანოსთან და წარმოადგინონ ნებისმიერი სახის მტკიცებულება არჩევნების საგარეულო გაყალბების ფაქტებთან დაკავშირებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

საქართველოს პროკურატურა აგრძელებს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების საგარეულო გაყალბების ფაქტზე მიმდინარე გამოძიებას, რომლის შედეგებთან დაკავშირებითაც პერიოდულად მოვახდენთ საზოგადოების ინფორმირებას, - აღნიშნულია განცხადებაში.

## პრონია

ქვეყნის მასშტაბით განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებს აქტიურად და საქმიანი წამოწყებებით ეხმარებიან შუახევის რესურსცენტრში. მიმდინარე სასწავლო წელს წამოწყებულ აქტივობებს მათ კიდევ ერთი მიუძღავს. „საუბრები განათლებაზე“ - ასე ეწოდება ახალ პროექტს, რომლის მიზანია შუახევის სკოლებში მომუშავე წარმატებულ, საქართველოსა და აჭარის განათლების სამინისტროების პროგრამებით „გასწავლოთ მომავალი წარმატებისთვის“ და „ასწავლეთ საქართველოსთვის“ მოვლინებულ, ასევე, პროექტში „ჩემს გავლენას“ ჩართულ სტიპენდიატ პედაგოგებთან ურთიერთობები, მათი წინადადებების, სურვილების გათვალისწინება და სასწავლო პროცესში გამოყენება.

\*\*\*  
შობის დამეს ხიჭაურის ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარში საშობაო წირვა-ლოცვა ღამის თვეთა მეუფე სპირიდონმა და მღვდელმსახურებმა აღადგინეს. აქ მოსალოცად მოვიდნენ შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაყაიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, მერის პირველი მოადგილე თორიან აბაშიძე, საშობაო წირვა-ლოცვის დასრულების შემდეგ მეუფე სპირიდონმა მრევლი საზეიმო ტრადიციულ სიბაბუჩაზე. 7 იანვარს დღიდანვე მარტვილის ხეობაში მცხოვრები და აქედან ქვეყნის სხვა ტერიტორიებზე გადასულნი გამოწვევების წინააღმდეგ ვიოტრის ტაძარში შობის ბრწყინვალე ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ საზეიმო წირვა-ლოცვაზე მოვიდნენ. ღვთისმსახურება დეკანოზმა გიორგიმ (ფუტკარაძე) აღავლინა. საზეიმო წირვა-ლოცვას აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი, შუახეველთა დელეგატი წარმომადგენლობით ორგანოში ფრიდონ ფუტკარაძე, ომარ ტაყაიძე და სხვა ოფი-

ციალური პირები ესწრებოდნენ. ხულოს, ქედის მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის წარმომადგენლებმა დაბა ხულოს, სხალთის, დაბა ქედის, ზვარეს, ზესოფლის ტაძრებში მიიღეს.

\*\*\*  
ბათუმის საქალაქო სასამართლომ „ბათუმელებსა“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებელ მზია ამალობელს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. გადაწყვეტილება მოსამართლე ნინო სახელაშვილმა მიიღო. მოსამართლის გადაწყვეტილებას დარბაზში ხმაური და შეძახილები მოჰყვა. „თავისუფლება მზიას“ - სკანდირებდნენ სხდომაზე დამსწრეები. დარბაზში მყოფმა ყურნალისტებმა მოსამართლესა და პროკურორებს მიმართეს სიტყვებით: „ივანიშვილის მონებო“, „რუსები ხართ“, „შეგრცხვით, ყურნალისტებს რომ ციხეში უშვებო“, „ხოლოდატეებო“. სასამართლო პროცესზე პატიმრობის უშუალოდობა პროკურატურამ დააყენა, ხოლო დაცვის მხარე მის მიმართ 100-ათასლარიანი გირაოს გამოყენებას ითხოვდა. პროცესზე სიტყვით ისარგებლა თავად ბრალდებულმაც და განაცხადა, რომ პასუხისმგებლობას არ გაუტრის. მზია ამალობელს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით აქვს წაყენებული, რაც პოლიციელზე თავდასხმას გულისხმობს. მზია ამალობელი ბათუმში, პოლიციის მთავარ სამმართველოსთან აქციის დროს თავდაპირველად ადმინისტრაციული წესით დააკავს და დაახლოებით ორ საათში გამოუშვეს. გათავისუფლებიდან რამდენიმე წუთში კი ის სამმართველოსთან კვლავ დააკავს.

\*\*\*  
საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის

ტელევიზიასთან აქცია გამართა. სხვადასხვა მიდრეკილების მქონე პირების მონაწილეობით დაიწყო აქცია „საქართველოსთვის“ ითხოვს დაუზუსტებელი და საფუძვლიანი გამოძიებას ივანიშვილის რეჟიმის მიერ მოწყობილი ძალადობრივი თავდასხმის შესახებ და მოუწოდებს, ყველა პასუხისმგებელი პირის პასუხისმგებლობაში მიცემას. ეს პოლიტიკურად მოტივირებული თავდასხმა არის ოპოზიციის დაშინებისა და განსხვავებული აზრის ჩახშობის აშკარა მცდელობა. ასეთი ქმედებები ვერასდროს გააჩუქებს ხმებს, რომლებიც იბრძვიან საქართველოს დემოკრატიული და ევროპული მომავლისთვის“, - ნათქვამია განცხადებაში.

\*\*\*  
პარტია „საქართველოსთვის“ გიორგი განხარაზე თავდასხმის შესახებ განცხადებას სოციალურ ქსელ X-ში ავრცელებს. „ბათუმში გიორგი განხარაზე, პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერად და ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ჯგუფურად დაესჯენ თავს, რაც ივანიშვილის რეჟიმის მიერ იყო ორკესტრირებული. გიორგი განხარაზე იმყოფებოდა ბათუმში და ესწრებოდა ჩვენი პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის უსამართლოდ დაკავებულ წევრების სასამართლო პროცესს, რა

დროსაც მონა ძალადობის ეს შემხარავი აქცია. პარტია „საქართველოსთვის“ ითხოვს დაუზუსტებელი და საფუძვლიანი გამოძიებას ივანიშვილის რეჟიმის მიერ მოწყობილი ძალადობრივი თავდასხმის შესახებ და მოუწოდებს, ყველა პასუხისმგებელი პირის პასუხისმგებლობაში მიცემას. ეს პოლიტიკურად მოტივირებული თავდასხმა არის ოპოზიციის დაშინებისა და განსხვავებული აზრის ჩახშობის აშკარა მცდელობა. ასეთი ქმედებები ვერასდროს გააჩუქებს ხმებს, რომლებიც იბრძვიან საქართველოს დემოკრატიული და ევროპული მომავლისთვის“, - ნათქვამია განცხადებაში.

# სოსო მანჯავიძე: მთავარია, არ ჩავყვით იმ ხორცსაკაც მანქანაში, რომლის მსოფლიოშია ამოქმედებული

08მა ცხელსკამ 577 10 15 17

რა ელოდება საქართველოს მსოფლიო პოლიტიკური რუკის სახეცვლილებებში და რა ადგილს უმზადებენ ჩვენს ქვეყანას მსხვილი აქტორების? - ამაზე გვესაუბრება პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი ს(ს)ო მანჯავიძე, რომელიც მასშტაბურად განიხილავს მიმდინარე პროცესებს და ცდილობს, წარმოგვიდგინოს არსებული დაძაბული ვითარების რეალური სურათი



ნისი შემადგენლობაში შედის ოფიციალურად. გამოდის, ნატოს ორ წევრ ქვეყანას ტრამპმა ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენა.

საუბრის დასაწყისში სოსო მანჯავიძე ანალიზებს წინასახალწლოდ განვითარებულ შიდაპოლიტიკურ დაძაბულობას, თვლის, რომ ყოველი პრეზიდენტის მანქანის დახმარებით მთავრობის გადაწყვეტილების რეალური მცდელობა:

- როდესაც სალომე ზურაბიშვილი ვერ გამარჯვდა ორბელიანების სასახლეში, თბილისის იმ ძალების გეგმა ჩაიშალა, რომელიც გეგმავდა საქართველოში ხელისუფლების ცვლილებას. მათი სცენარით, სალომეს პრეზიდენტად დარჩენით უნდა ეძლეოდა მთავრობა, დაენიშნა ახალი არჩევნები. აქედან იყო მიმართული როგორც თბილისის, ისე ევროკავშირისა და აშშ-ის აწ უკვე ყოველი ადმინისტრაციის მთელი ძალისხმევა. ამ შემთხვევაში სწორედ სალომე ზურაბიშვილი წარმოადგენდა ლეგიტიმაციის ღერძულ ფიგურას თბილისისთვის. ის იყო პრეზიდენტი, ასევე, მთავარსარდალი, რომელსაც, მათი აზრით, უნდა უზრუნველყო ყარის (რომელიც ნაწილობრივ დადასტურდა ოპოზიციის მხარეს, რაც ახალ ეტაპზე გადაიყვანდა ესკალაციას და საპროტესტო აქციებს სულ სხვა სახეს მისცემდა. ამ გეგმის მცდელობები იყო, თუმცა ვერ შეასრულეს. იმდენი მაქვს, გამოძიება დაადგინოს, რა ხდებოდა და ვინ მონაწილეობდა შეთქმულებაში, ანუ საზოგადოებისთვის ყველა დეტალი გახდება ცნობილი. მოკლედ რომ ვთქვათ, იმის მიუხედავად, რომ ქრულად იყო ამოქმედებული ავანტიურული ქსელი, ძალოვნების წინააღმდეგობაში ჩართვის მცდელობა ჩაეშალა. შესაბამისად, პირველი ტალღა, რომელიც ორიენტირებული იყო ძალოვნებზე, ვერ შედგა. პროპაგანდისტული მანქანა მთელი სიმძლავრით მუშაობდა და მუშაობს. ხალხი დააჭერს, რომ სადაც, ბედნიერ მომავალში მიმავალთ უგანეს და ახლა ბნელეთისკენ მიერეკება. ჩააგონეს, რომ ყველაფერი კარგი ევროპულია, ყველაფერი ცუდი - რუსული, საერთოდ შეუცვალეს ღირებულებების შკალა.

პოლიტიკოლოგი არსებულ ხელისუფლებასაც ადანაშაულებს:

- ამაში წლების განმავლობაში მონაწილეობდა ხელისუფლებაც, რომელიც გაუცნობიერებლად იყენებდა სიტყვა „ევროპულს“ ყოველივე კარგის აღსანიშნავად, ანუ აშკარა იმ ნარატივებს, რომლებიც ტექნოლოგიებს, რითაც ბოროტების პრივატიზაცია ხდებოდა რუსეთზე. გაიხსენეთ სამარცხენო ეპიზოდები, როდესაც პოლიტიკოსების წარმომადგენლები ერთმანეთს ეძახდნენ „შე რუსოს“ და „ვინ არის რუსი?!“. ეს სამარცხენო პრაქტიკა დროულად უნდა გაცნობიერდეს და აღმოიფხვრას არა მხოლოდ როგორც ზნეობრივად დაუსაბუთებელი, არამედ საფრთხის შემცველი. 150-160 მილიონი ადამიანი იდენტიფიცირდება როგორც რუსი (რუსეთსა თუ ყოველი საბჭოეთის ქვეყნებში) და მათი ეროვნების კინობნენ ფორმებში სილანდრულად გამოყენებამ რა შედეგები შეიძლება მოგვიტანოს, ვფიქრობ, არაა რთული გამოსაცნობი.

სოსო მანჯავიძე ტრამპის ბოლო ინტერვიუს განალიზებთ ასკვნის:

- მუსიკა, რომლის მანჯავიძეც ახლა რუსთაველზე მიმდინარეობს ჩანჯლარი, შეწყდა და იქაური მოცეკვავეები ძალიან სასაცილოდ გამოიყურებიან. სულ სხვა მელოდიები ისმის გეოპოლიტიკური ცენტრიდან - აშშ-ის ახალი ადმინისტრაციიდან. თავისი განცხადებებით ტერიტორიების მერაღობის გაფართოების განზრახვისა და ამის მისაღწევად შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ, ტრამპმა რუსეთს მწვავე შეუქა აუნთო. შეგახსენებთ: ტრამპმა განაცხადა კანადის, პანამის არხისა და გრენლანდიის მიერთების გეგმის შესახებ და აქვე ახსენა შეიარაღებული ძალების ჩარევაც, თუკი ამის აუცილებლობა შეიქმნება. მოგეხსენებათ, კანადა დიდი ბრიტანეთის დომინიონია. იქ ბრიტანეთის ტახტის ხელისუფლებას წარმოადგენს გენერალ-გუბერნატორი, გრენლანდია კი და-

პოლიტიკოლოგი აშშ-ის განვითარების ისტორიულ წიაღსვლებსაც მიმართავს:

- ამერიკის შეერთებული შტატები თავიდანვე განედურად განვითარდა, ანუ ორი ოკეანე მისი ბუნებრივი საზღვარია. მერიდიანული განვითარებისთვის კი მან საფრანგეთისგან ლუიზიანა იყიდა, ესპანეთისგან - ფლორიდა. მექსიკასთან ომის შედეგად მიიღო ტეხასი. მექსიკაში არ გადასულა, რადგან სხვა კულტურული სივრცეა. აშშ ჩამოყალიბდა თეთრკანიანი ინგლისელი და შემდეგ გერმანელი პროტესტანტების მიერ. გაფართოება მიმდინარეობდა კანადისკენ, რასაც ხელი შეუშალა ბრიტანეთის იმპერიამ, რის შემდეგაც აშშ გადავიდა საზღვაო ძალების გაძლიერებაზე, გახდა საზღვაო იმპერია და ნელ-ნელა ჩაანაცვლა ამ სფეროში ინგლისი... დღეს გაცოცხლდა ამ ორ სახელმწიფოს შორის ძველი ისტორია. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამერიკელი დემოკრატები და გლობალისტები არიან ბრიტანეთის ტახტის მოკავშირეები და ერთ თამაშს თამაშობენ. მათი მართვის ცენტრებია: ნიუ-იორკში - საერთაშორისო ურთიერთობების საბჭო და ლონდონში - „ცატემ ჰაუსი“. ეს ძალა ეწინააღმდეგება იმ განცხადებებს, რომლებსაც აკეთებს ილონ მასკი ტრამპის სახელით. გაიხსენეთ, რა ფრანგები გაასაჩაროვა მასკმა: „ჩვენ უნდა გავათავისუფლოთ ბრიტანეთი ტირანული ხელისუფლებისგან“, აგრძენის გადასარჩენად საჭიროა ოლავ სოლვის ჩამოშორება“ (არადა, იგი სწორედ გლობალისტების დასმულია ამ სავარძელში) და სხვა. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა უანოელ ბარომ წამოიკანავლა, რომ „ევროპამ უნდა გაუწიოს წინააღმდეგობა აშშ-ის გეგმებს კანადასა და გრენლანდიასთან მიმართებაში, რომ ევროკავშირი არ დაუშვებს თავის საზღვრებში სხვა ქვეყნების შეჭრას, ვინც უნდა იყოს ის“... რამდენ ხანს შეინარჩუნებს ეს მინისტრი სკამს, არავინ იცის, მაგრამ მისი განცხადებები აშკარადაა გარკვეული თვალსაზრისის გამოხატულება.

სოსო მანჯავიძე ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ტრამპმა რამდენჯერმე გააუღერა სურვილი, გრენლანდია შეიძინოს დანიისგან, რასაც ამერიკის უსაფრთხოებისთვის „ბასო-ლუტურად აუცილებელი“ უწოდებს:

- მოგეხსენებათ, დანია ურაცყოს ასეთი გარიგების შესაძლებლობას, მაგრამ საკითხი ახლა სხვა კუთხით დადგა. კერძოდ, 7 იანვარს გამართულ პრესკონფერენციაზე აშშ-ის არჩეული პრეზიდენტის ჯო ბაიდენის განცხადებით თუ არა ეკონომიკურ თუ სამხედრო იძულებას ამ საკითხის გადასაჭრელად. მან უარი თქვა იმის დადასტურებაზე, რომ ეს შეუძლებელია, ანუ ტრამპმა უკვე იარაღს აუღარუნებს. რაც შეეხება მიმდინარეობის მდღეობა არქტიკულ კუნძულს, მის მიმართ ინტერესი მდგომარეობს შემდეგში - აშშ განდებდა არქტიკული სახელმწიფო და რუსეთთან ერთად შეძლებს ნახევარი არქტიკული გზის (ახლა ყინულების დონა მიმდინარეობს და ახალი შესაძლებლობები გამოჩნდა) გაკონტროლებას, აღარაფერს ვამბობ იმ უმდიდრეს ხელუხლებელ რესურსებზე, რაც აშშ-ს ძალიან გამოადგება. იქ სახლობს 57 637 ათასი ადამიანი, რომელთა 88% გრენლანდიელი ინუიტები არიან, რომელთა უფლებების დარღვევაც დავასთან არავითარი საქმე არ აქვს ტრამპს, მაგრამ თქვა, რომ „გრენლანდია გახდება ისევ დიადი“. სხვათა შორის, ტრამპის ვაიცილი უკვე ჩავიდა გრენლანდიაში და სოციალური

ქსელით გაავრცელა ინუიტებთან ერთად გადაღებული ფოტოები.

სოსო მანჯავიძე განმარტავს პანამის მიმართ ტრამპის ინტერესის მიზნებსაც:

- აუცილებელია, გავარკვიოთ პანამის არხის ისტორია, რათა უფრო ფართო მასშტაბით გავიაზროთ, რასთან გვაქვს საქმე. პანამის არხის მშენებლობა დაიწყო საფრანგეთმა, რომელიც ამერიკამ ჩაანაცვლა. ამ უკანასკნელმა დაასრულა სამუშაოები მე-20 საუკუნის დასაწყისში და ნაწილობრივ გადასცა პანამას 1977 წელს, სრულად კი 1999 წელს. ახლა ამ არხს ჩინეთი განაგებს. მან იქ შექმნა ძალიან დიდი ლოჯისტიკური ჰაბი, რაც ახლანდელი გააპროტესტა ტრამპმა: „პანამის არხი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. მას მართავს ჩინეთი. ჩვენ მივეცი პანამის არხი პანამას და არა ჩინეთს. მან ბოროტად გამოიყენა ეს საჩუქარი“. იგი დაიმუქრა კიდევ, რომ დაგვირდეს, შეიარაღებულ ძალებს გამოვიყენებთ.

სოსო მანჯავიძე პარალელს ავლებს საქართველოსთან იმ სატრანზიტო გზების კუთხით, რომელსაც ჩინეთი ამერიკაცასიაში გეგმავს:

- როგორც პანამის არხის შემთხვევაში, აქაც ჩინეთი ფიგურირებს... საქართველოსადმი საერთაშორისო ინტერესს იწვევს აბრეშუმის გზა, რომელსაც ავტორიტეტს ანაკლიის პორტი. გაიხსენეთ, ამ პროექტს თავიდანვე უტრიალებდა ხაზარაძე, თუმცა ხელი-სუფლების დროული ჩარევით, ვერ შეძლო უცხოელი პარტნიორების დავალების შესრულება. ამჯერად, კვლავ გააქტიურდა ეს თემა. ხდება საგზაო ქსელის მოდერნიზაცია. ჩინეთი დებს ფულს და ახორციელებს ინფრასტრუქტურულ პროექტებს როგორც აზიასა და აფრიკაში, ისე ჩვენთან. ის აპირებს, აამოქმედოს ანაკლიის პორტი და გახდეს მისი ოპერატორი. ეს ხელს არ აძლევს არც აშშ-სა და არც ბრიტანეთს, ამიტომ ყველა ხერხით (მათ შორის შიდა პოლიტიკური დაპირისპირებებით) ცდილობს, არ დაუშვას ჩინეთის მიერ აბრეშუმის გზის გაცოცხლება, ამოქმედება და მასზე კონტროლი.

შეიტანებაზე, ჩვენ რამდენად გვაძლებს ხელს ჩინეთის პარტნიორობა, პოლიტიკოლოგი გვპასუხობს:

- ხელს გვაძლებს თუ არა, ამას არ აქვს არავითარი მნიშვნელობა გეოპოლიტიკური აქტორებისთვის, თუმცა ჩვენს შემთხვევაში, ანაკლიის პორტის ამოქმედება უზარმაზარ დივიდენდებს მოიტანს, ანუ საქართველოს ეკონომიკისთვის უდიდესი პერსპექტივაა და ქვეყნის განვითარების უმძლავრესი სტიმული იქნება, მაგრამ ფაქტია, რომ ეწინააღმდეგება სხვა ძალების ინტერესებს და თუ სიტუაცია არ დაბალანდება, ეს პროექტი საფრთხის შემცველია.

თუ რას გვთავაზობენ სხვა ძალები სანაცვლოდ, სოსო მანჯავიძე გვპასუხობს:

- არავინ არაფერს გვთავაზობს, მხოლოდ სახელმწიფოს სრულ დამონებას და მათი ავანტიურული ქსელის, ენჯელების დაფინანსებას გვპირდებიან. მოგეხსენებათ, ამ არასამთავრობოებში საერთაშორისო კორუფციული ფული თეთრდებოდა ნეოლიბერალიზმის საეჭირო იდეების გავრცელების სანაცვლოდ. საიდუმლოს აღარ წარმოადგენს, რომ სწორედ საქართველოს მთავრობის შესაჩერებლად წამოიწყეს ვითომდა ოპოზიციური პარტიების მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქციები, რომლებიც ანტირუსული პროპაგანდით შეფუთეს. ანტირუსული არ გამოვიდოდო, რადგან ჩინეთი არ არის კოლონიზატორი, არც ტერიტორიული პრობლემები აქვს ჩვენთან და ვერავის ვერაფერს დააჭერებდნენ, ანუ მის წინააღმდეგ ისტერიული განწყობების ინსპირაცია გართულდებოდა. ცხადია, რუსეთი ამ პროცესებში ჩართულია, რადგან ჩინეთთან ბევრი საერთო ინტერესი აქვს. გარდა ამისა, რუსეთი შეიძლება ასრულდეს ჩინური ინვესტიციების დაცვის ფუნქციას, რადგან მას რეგიონში აქვს ამის ინსტრუმენტები. აქ ერთი ჩვენთვის მეთად მნიშვნელოვანი ასპექტია: ანაკლიის პორტის მშენებლობა და ფუნქციონირება რთულად წარმოსადგენია აფხაზეთის საკითხის დარღვეული რეგულირება, რასაც, ბუნებრივია, ითხოვს ჩინეთი და პროექტის განხორციელებით დაინტერესებული სხვა მხარეებიც. სწორედ ამ კონტექსტშია განსახილველი აფხაზეთში მიმდინარე პროცესები და რუსეთის გამკაცრებული პოზიცია აფხაზეთის მიმართ.

სოსო მანჯავიძე გვაწვდის რუსეთ-უკრაინის ომის დასრულების საკუთარ ვერსიას:

ნის ომის დასრულების საკუთარ ვერსიას:

- ტრამპმა თქვა, რომ ნატოში უკრაინას საერთოდ არ განიხილავს და თავად ნატოსაც აღარ განიხილავს, თუ ეს უკანასკნელი 5%-მდე არ გაზრდის თავდაცვის ხარჯებს (ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გაგვიჩინდეს სარკასტული აზრები ჩვენი მომტიტინგების ევროატლანტიკურ სივრცეში მისწრაფებასა და კონსტიტუციის 78-ე მუხლთან დაკავშირებით პროტესტზე). ტრამპი შეეცდებოდა რუსეთთან მორიგების მიღწევას კომპრომისების ხარჯზე, რათა პუტინი ომიდან სრულად გამარჯვებული არ გამოვიდეს. ის, რომ უკრაინის ნატოში მიღებას არც კი განიხილავენ, ართმევს პუტინს შემდგომი ესკალაციის საშუალებას, ხელიდან აცლის რუსეთს ბრძოლის იდეოლოგიურ საფუძველს. ტრამპი რას შესთავაზებს, უკვე გასაგებია: კი, ბატონო, მიიერთე ის ტერიტორიები, რაც აიღე (გვულოდისხმობ ყირიმსა და კონსტიტუციით აღიარებულ ოთხ რეგიონს), მაგრამ დაანებე დანარჩენ უკრაინას თავიო. არადა, რუსეთს აშკარად სურს უკრაინის სრული კონტროლი. კერძოდ, ითხოვს გარანტიებს, მაგალითად, უკრაინას არ ჰყავდეს 100 ათას ჯარისკაცზე მეტი ან დადებული შეთანხმებების შესრულებაზე კონტროლი სახელმწიფო ორგანოების პოსტებიდან განხორციელონ ადმინისტრაციის რუსმა მოხელეებმა და სხვა. ამ ყველაფერზე არ უნდა დასავლეთი, რადგან როგორც უკრაინის გარანტი, დამცირებული გამოვა. ამერიკას უნდა, ომი შეაჩეროს, მაგრამ სახე შეინარჩუნოს, ამიტომ ფიქრობს ტრამპი, რომ ნაკლებად მძიმე პირობებით მოახერხოს უკრაინის კაპიტულაცია. იქ ისედაც უმძიმესი პროცესები მიმდინარეობს და კიდევ უფრო მძიმე შეიქმნება... აქეთ რუსეთის ისტებლიშმენტიც დადანაშაულებს პუტინს, რომ აშკარა ტრამპს და მოგებული ომი (როგორც მიანჩაო) შეაჩერა, თუმცა ტრამპს აქვს ამ ორი ქვეყნის პრეტენზიების დასარეგულირებელი ინსტრუმენტები, დაწესებული ნავთობის ფასის დაგდება და დამთავრებული უკრაინისთვის იარაღის მიწოდებით. შეგახსენებთ, რომ ბაიდენმა წასვლის წინ 4 მილიარდი ალფრეკა ზღუდისკის, თუმცა, რეალურად, შეგვეცა ეს თანხა და მხოლოდ 500 მილიონი მისცა. ეს ბაიდენის ერთგვარ შურისძიებად ჩაითვალა, ვინაიდან ზღუდისკი არ აშკარა ინსტრუმენტებს, ჩართული ანტიკორუფციული კოალიციაში. სხვათა შორის, ვინც ამ კოალიციაში ჩაერთო, ყველას შეერყა სავარძელი ავსტრიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, კანადაში... ჩემი პროგნოზით, იგივე მოხდება ბრიტანეთშიც იმიტომ, რომ ამოქმედდა სულ სხვა მექანიზმები... უკრაინაში მართლაც უმძიმესი ვითარებაა როგორც ფრონტზე, ისე შიდა პოლიტიკაში. ტრამპის მოსვლამ უკრაინელებს შეუქმნა უპერსპექტივობის განცდა, რესურსები ეწურებოდათ და კატასტროფულ დამომარეობაში არიან. დემოგრაფიული პრობლემა უკვე ხელშეწყობდა გახდა. 2023 წლამდე 8-10 მილიონი უკრაინელი გასული დასავლეთში, ხუთ მილიონსახევარი - რუსეთში, შარშან სამ მილიონზე მეტად დადიანდა დატოვა უკრაინა. სამ წელიწადში 18 მილიონი უკრაინელია ქვეყნიდან გასული. ამას დაუმატეთ უამრავი ადამიანის დაღუპვა, ოჯახების ნგრევა... ევროპასა თუ ამერიკაში გასული ქალები მასობრივად განქორწინდებიან, რათა უკან აღარ დაბრუნდნენ და სხვა ქვეყნებში ახალი ოჯახები შექმნან, ცხადია, უმეტეს მათგანს შვილებიც თან ახლავს, ანუ დემოგრაფიული კატასტროფა უკრაინაში.

წერილს სოსო მანჯავიძის მიერ საქართველოს შესახებ გამოთქმული თვალსაზრისით ვასრულებთ:

- ყველამ უნდა გავითავისოთ, რომ იმ ლოჯისტიკურ გზებზე, რომლებიც საქართველოზე გავა და ჩინეთს მისი გასაღების ბაზრებთან დააკავშირებს, მოსალოდნელია დაძაბულობა. ვითარების დაძაბვას ელოდებიან ქვეყნის სამხრეთითაც, კერძოდ, აზერბაიჯანში, სომხეთსა და, საერთოდ, ახლო აღმოსავლეთში. უნდა ვიყოთ მაქსიმალურად ფრთხილად, ჭკვიანად... დაძაბულობა თითქმის მიწვევითაა, მაგრამ საბოლოოდ ასე არ გავრცელდება. ის ძალა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკურ დაპირისპირებებს და არეულობას იწვევს, არსად წასულა და შეეცდება სიტუაციის ესკალაციისთვის ახალი მიზეზის მოვნას. მთავარია, არ ჩავყვით იმ ხორცსაკაც მანქანაში, რომელიც მსოფლიოშია ამოქმედებული.

# ილია ვერძაძე: აღარ ითვლება ძლიერ პოლიტიკოსად ის, ვინც კარგად იცხუება!

08მა ცხელად 577 10 15 17

ახალი წლის დღეებში ასე თუ ისე მინაგლეხული აქციები კვლავ განახლდა და ახლა უკვე ბათუმში დააკვირეს მათი მონაწილეობის სხვადასხვა ბრალდებით, თუმცა იბოზიცია თვლის, რომ ყველა დაკავებული მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით. ბათუმსა და საქართველოს სხვა ქალაქებში, ახალი არჩევნებისა და პოლიტიკატიმრების გათავისუფლების მოთხოვნით, საპროტესტო აქციები კვლავ იმართება.

ამ და სხვა საკითხებზე ვთავაზობთ ინტერვიუს აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრ ილია ვერძაძეს, რომელიც ცდილობს, მაქსიმალურად კორექტულად შეაფასოს არსებული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა აჭარის რეგიონში.

**- როგორ შეაფასებთ მიმდინარე პოლიტიკურ სიტუაციას?**

- მიმდინარე პოლიტიკური პროცესები შეიძლება შეფასდეს როგორც ნერვების ომი. სამწუხაროდ, ძალიან ბინძური მეთოდებით იბრძვის ოპოზიცია. ვფიქრობ, გაგვიმართლა, რომ ამ დროს ქვეყანაში გვეყავა ასეთი პოლიტიკური გუნდი - „ქართული ოცნების“ პოლიტიკური ხელმძღვანელობა და პრემიერი, რომელსაც აქვს მტკიცე ნებისყოფა და არის ძალზე გაწონასწორებული. ამასვე ვიტყვი მთელ მის გუნდსა და განსაკუთრებით - ძალოვნებზე.

- 11 იანვარს ბათუმში აქციაზე პოლიციამ 12 ადამიანი დააკავა. მათ შორისაა „ბათუმელი ინტელექტუალები“ დამფუძნებელი მზია ამალობერი. დაკავებული პირებიდან მხოლოდ სამმა დატოვა პოლიციის განყოფილება. 12 იანვარს ბათუმის საკონსტიტუციო სასამართლოსთან გამართულ საპროტესტო აქციაზე პოლიციამ 8 ადამიანი დააკავა, მათ შორის „ბათუმელების“ ოპერატორი გურამ მურგანიძე. როგორ დააკომენტარებთ ამ ფაქტებს და მიმდინარე პროცესებს?

- დიას, ეს პროცესები მიმდინარეობს, რაც ძალიან გულდასაწყვეტია თითოეული ჩვენგანისთვის. უკვე თითოეულმა ადევკატურად მოაზროვნე ადამიანმა იცის, რომ ოპოზიცია ყველა ხერხით ცდილობს მოსახლეობაში საპროტესტო მუხტის გამძაფრებას და სიტუაციის ესკალაციას. ბათუმში მომხდარი ინციდენტები სწორედ მიღვევადი მუხტის ასაწევად იყო გამიზნული. ბოლო დროს ოპოზიციის გააქტიურება როგორც თბილისში, ასევე ბათუმში გასაგებია, რა მიზნებსაც ემსახურება. არსებობს ვიდუროვნაწერები, სადაც გარკვევით ჩანს, ვინ რატომ დააკავეს. ეს უკვე პროკურატურის პრეროგატივაა და სამართალდამცვეები ყველა ფაქტს გამოიძიებენ მკაცრად, სამართლებრივ ჩარჩოებში. არცერთ ქვეყანაში არ რჩება დაუსჯელი პოლიციელზე ფიზიკური ანგარიშსწორება. გაიხსენეთ, რა ხდებოდა თბილისში აქციებზე: პირბრუნებით, ქვებრუნებით და მოლოტოვის კოქტეილებით აზიანებდნენ სამართალდამცველებს. ნებისმიერი ქვეყნის პოლიციელები



თავიდანვე ძალის გამოყენებით აღკვეთდნენ მსგავს სიტუაციებს, აღარაფერს ვამბობ პარლამენტის შენობის დარბეზულ კაბინეტებზე. ახლა ბათუმში დაიწყო ეს აგრესია პოლიციის მიმართ. აქციის მონაწილეები ცდილობენ მათ წყობიდან გამოყვანას და ყველაფერს

**„ აჭარის ბიუჯეტი წელს 800 მილიონ ლარზე მეტა და ეს ბებულის სახელმწიფოს სწორი პოლიტიკით. ამას ვამბობ ამ განცხადებით ოპოზიციას და მის მხარდამჭერებს თუ გეგები მხოლოდ არსებული მთავრობის უსუსურობაზე გააყვირან და სრულიად არ შედის მათ ინტერესებში, გამოაქვეყნონ და საკუთარ მომხრეებს გააცნონ რეალური მდგომარეობა“**

აკეთებენ, რათა იგივე მუხტი გამოიწვიონ, როგორც თბილისში აღწევდნენ. შემდეგ ყველაფერ ამას მოჰყვება სოციალურ ქსელში გარჩევები და ხელისუფლების წარმომადგენლების დადანაშაულება სასტიკ მოპყრობაში. ეს გზა უკვე გამოვიარეთ დედაქალაქში და, სამწუხაროდ, იგივე მეორდება აქაც. პირველ რიგში, ოპოზიციამ უნდა აიღოს თავის თავზე პასუხისმგებლობა ბათუმში მომხდარი ინციდენტის გამო. ხელისუფლება, როგორც ყოველთვის, ახლაც შეეცდება, არცერთი მოქალაქე არ დაზიანდეს ფიზიკურად თუ სამართლებრივად, მათი პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად.

**- მიმდინარე წლის ბიუჯეტზე ვისაუბროთ: რა ძირითადი მიმართულებები დაფინანსდება?**

- აჭარის ბიუჯეტი წელს 800 მილიონ ლარზე მეტა და ეს უპრეცედენტო ზრდა განპირობებულია სახელმწიფოს სწორი პოლიტიკით. ამას ვამბობ იმის მიუხედავად, ვალიზიანებ ამ განცხადებით ოპოზიციას და მის მხარდამჭერებს თუ არა... მოგეხსენებათ, მომიტინგეები მხოლოდ არსებული მთავრობის

უსუსურობაზე გააყვირან და სრულიად არ შედის მათ ინტერესებში, გამოაქვეყნონ და საკუთარ მომხრეებს გააცნონ რეალური მდგომარეობა. ისინი არც ბიუჯეტის მოცულობაზე, არც დაფინანსებულ და განხორციელებულ გრანდოზულ პროექტებზე, არც უამრავ მიღწევებზე საუბრობენ, რადგან მათი მთავარი მიზანია ხელისუფლების დისკრედიტაცია მისი შემდგომი ჩანაცვლების მიზნით და არა ქვეყნის ინტერესებზე, მის მომავალზე ზრუნვა. დღევანდელი პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, ბიუჯეტის შესახებ კითხვებზე პასუხში გავამახვილებდი ყურადღებას ჯანდაცვისა და განათლების მიმართულებით გაზრდილ თანხებზე. ჯანდაცვაში ბევრი, მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარე, პროგრამა ამოქმედდება, მათ შორის იქნება ახალი, მოქალაქეების მოთხოვნებზე მორგებული პროგრამებიც. რაც შეეხება საყოველთაო ჯანდაცვას, მასში შეტანილი ცვლილებები უპრეცედენტოა და პასუხობს როგორც პაციენტის, ასევე კლინიკების მოთხოვნებს.

**- რას გულისხმობთ?**

- აღსანიშნავია, რომ თებერვლიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დატოვება არ მოუწევთ მათ, ვისაც განსხვავებული (მეტი) სერვისის მიღება სურთ. ისინი, უბრალოდ, თანდაფინანსების გზით დაფარავენ საკუთარი სურვილით გაზრდილ ხარჯებს.

**„ რაც შეეხება განათლებას, აქციის მონაწილეთა ახალგაზრდული ნაწილის ძირითადი გალიზიანება ევროპაში სწავლის პერსპექტივის შესაძლო გადაკეტვამ უფრო გამოიწვია.“**

- ვიცი ეს და ამიტომ განათლების პროგრამებში მხოლოდ იმ ნაწილზე გავამახვილებ ყურადღებას, რომელიც დღევანდელი პოლიტიკური დღის წესრიგს ეხმარება. საუბარია საბიუჯეტო სახსრებზე, ჩვენი ახალგაზრდების ევროპული განათლებისთვის რომ არის გამოყოფილი და ეს მაჩვენებელი წლიდან წლამდე იზრდება. ეს არის ფაქტი, რომელიც აშკარას ხდის იმ ტყუილის უსუსურობას, რომლითაც ცდილობენ ხალხის შეცდომაში შეყვანას ევროპულ მომავალთან დაკავშირებით. ჩვენი პოლიტიკური გუნდი ერთადერთია, ვინც რეალურად აკეთებს ამისთვის ყველაფერს და ნამდვილად შეიყვანს ჩვენს ქვეყანას ევროკავშირში.

**- შემოვლენ თუ არა უმაღლესი საბჭოში ოპოზიციონერი დეპუტატები?**

- მე არ ვარ მათი მომავალი საქციელის პროგნოზირების მომხრე. ვიტყვი მხოლოდ,

რომ არ შემოსვლა არის პოლიტიკურად სწორი გადაწყვეტილება. მით უმეტეს, როცა მიზეზს ვერ ასახელებ და გადადინარ მეორად ბრალდებებზე, რომლებიც თავადვე გამოიგონე. ვფიქრობ, ეს მათი ამომრჩევლების უმრავლესობისთვისაც ნათელია.

**- კონკრეტულად რომელმა დაწერა განცხადება?**

- სიის ჩანსასა და კონკრეტულ განცხადებებზე მხოლოდ ერთს ვიტყვი: ყველა დეპუტატის უფლებამოსილება ცნობილია! ანუ შემდეგ ისინი რას დაწერენ და რა რეჟიმში გააგრძელებენ (მაგალითად, ბოიკოტს) საქმიანობას, ეს მათი არჩევანია და არავითარი უხერხულობა უმრავლესობისთვის არ იქნება.

**- რამდენად მისაღებია ერთპარტიული უმაღლესი საბჭო დემოკრატიული ქვეყნის ფუნქციონირებისთვის - კრიზისის ხომ არ წარმოიქმნება?**

- მინდა განვმარტო და გითხრათ ერთი გავრცელებული ტყუილის შესახებ. კრიზისია, როცა ვერ ქმნი მთავრობას და ვერ აორგანიზებ სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობას. დანარჩენი ყველაფერი პოლიტიკური ცხოვრების ნაწილია. სახელმწიფომ უნდა აკეთოს თავისი საქმე, ანუ იარსებოს და იფუნქციონიროს. ემოციებით აისის გადაფარვა და კრიზისის იმიტაცია არ არის სწორი პოლიტიკა. ამ ილუზიაში, ანუ ვირტუალურ სამყაროში დიდხანს არ შეიძლება ამყოფო საკუთარი ამომრჩეველი, ეს წარმოუდგენლად ცუდი პრაქტიკაა. სხვათა შორის, აქვე ვიტყვი, რომ ამას აკეთებენ სხვადასხვა პოლიტიკოსები, პოლიტიკური პარტიები ბევრ ქვეყანაში, მაგრამ, როგორც წესი, მსგავსი

**„ უპრეცედენტო ზრდა განპირობის მიუხედავად, ვალიზიანებ ამ მოგეხსენებათ, მომიტინგეები მხოლოდ არსებული მთავრობის უსუსურობაზე გააყვირან და სრულიად არ შედის მათ ინტერესებში, გამოაქვეყნონ და საკუთარ მომხრეებს გააცნონ რეალური მდგომარეობა“**

რამ ხდება არჩევნების წინ და ყველა შემთხვევაში სრულდება არჩევნების შედეგების გამოცხადებასთან ერთად. აი, ეს ვერ გაიგეს და გაითავისეს ჩვენმა ოპოზიციამ და მისმა დამაქაშებმა.

**- მსოფლიოში ისევ მძვინვარებს შეიარაღებული კონფლიქტები, საქართველოში ჩერჩვრებით მშვიდობა. რამდენად შევძლებთ მის შენარჩუნებას აშშ-ის ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ?**

- მშვიდობა აუცილებლად შენარჩუნდება. ტრამპის ინაუგურაციის შემდეგ ბევრ კითხვას გაცემა პასუხი. რა თქმა უნდა, არა მყისიერად, მაგრამ - მაინც! ევროპა არჩევნების მოლოდინშია. აღარავის მოსწონს ხელოვნური შეცდომაში შეყვანას ევროპულ მომავალთან დაკავშირებით. ჩვენი პოლიტიკური გუნდი ერთადერთია, ვინც რეალურად აკეთებს ამისთვის ყველაფერს და ნამდვილად შეიყვანს ჩვენს ქვეყანას ევროკავშირში.

## საზოგადოებრივ ნაწილის გამაფრთხილებელი აქცია

ქვეყანაში საყოველთაო გამაფრთხილებელი გაფიცვა 15 იანვარს, 15:00 საათზე დაიწყო. მას ასეულობით კომპანია, სხვადასხვა უნივერსიტეტი და კვების ობიექტი შეუერთდა. სამი საათით შეწყვიტეს სამუშაო პროცესი და პროტესტის ამ ფორმით შეეცადნენ, ეჩვენებინათ საზოგადოებისთვის, თუ რა ელის საქართველოს იზოლაციის პირობებში.

„გუერთდებით სახალხო პროტესტს. ჩვენ ვიკავებთ უნივერსიტეტის ფოიეს მანამ, სანამ ჩვენი მოთხოვნები არ იქნება დაკმაყოფილებული“, - ასეთი განცხადება გაავრცელდა ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ნაწილმა. ისინი ითხოვრებ დაპატიმრებული დეკანის, მამუკა ჯორბენაძის და ოთხი სტუდენტის, ასევე, აქციებზე დაკავებული სხვა პატიმრების გათავისუფლებას. ახალგაზრდების მოთხოვნად რჩება ხელახალი არჩევნებიც:

„ჩვენ ვითხოვთ ჩვენი დეკანის, მამუკა ჯორბენაძის და სტუდენტების დავით გვიანძის, გურამ მიქელაძის, ანრი კაკაბაძის და გიორგი დავითაძის გათავისუფლებას, ასევე, ანდრო ჭიჭინაძის, ვეფხია კასრაძის, გიორგი ჩაჩანიძის და რეჟიმის ყველა პატიმრის. ჩვენს მთავარ მოთხოვნად რჩება ხელახალი სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნები. ვცხადებთ, რომ ჩვენი პროტესტი არის მშვიდობიანი, არ გუშლით ხელს სასწავლო პრ-

ოცესს, ვითვალისწინებთ განსხვავებული აზრის მქონე სტუდენტების უფლებებს, იმედს ვიტოვებთ, რომ ისინი გაიზიარებენ ჩვენს პოზიციას, მხარს დაგვიჭერენ, რადგან ჩვენ ვებრძვით სტუდენტის ღირსეული მომავლისთვის. სოლიდარობას გუცხადებთ თბილისის თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტებს, ბათუმის დრამატული თეატრის თანამშრომლებს და კულტურის ყველა წარმომადგენელს, ვინც სისტემასთან უთანასწორო ბრძოლაში მტკიცედ დგას. ძალა სტუდენტების ერთობაშია. ჩვენ გავიმარჯვებთ სახელოვნად“, - აცხადებენ სტუდენტები.

აქცია მიმდინარეობდა ბათუმის სასტუმრო „შერატონის“ წინა, სადაც „ბათუმელებისა“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებელი მზია ამალობერის მხარდამჭერებმა, მედიის წარმომადგენლებმა ბანერი გამოფინეს.

გამაფრთხილებელი აქციის ფარგლებში, ბსუ-ის ეზოში სტუდენტებმა სიმბოლურად დაწვეს ფურცლები წარწერით - „დიპლომი“. გორა სურგულაძემ სტუდენტებს აჩვენა იმიტაცია, თუ როგორ ექცევიან დაკავებულ პირებს იზოლატორში. მანამდე აქციის მონაწილეებმა უნივერსიტეტის დერეფნებში მეგავონით ჩამოიარეს და სტუდენტებს გაფიცვისკენ მოუწოდეს. მათ შენობაზე პლაკატებიც დაიდოვნენ წარწერით: „სოლიდარობა რეჟიმის ტყვეებს“. ბსუ-ის სტუდენტთა ნაწ-

ილმა ღამეც გაათია უნივერსიტეტის ფოიეში.

- ღამე უნივერსიტეტში გავათენეთ. სტუდენტები საყოველთაო გაფიცვას შეგუერთდით, შემდეგ კი სტუდენტური მარში გვექონდა და ბოლოს მოვედით უნივერსიტეტში სიმბოლურად დამის გასათევად. როგორც იცით, ჩვენი უნივერსიტეტის ორი სტუდენტი დაჭრილია. ჩვენ შევხვდით რექტორსა და აკადემიური საბჭოს წარმომადგენლებს და მათ მოვთხოვეთ, გააკეთონ განცხადება, რომ ეს ადამიანები უკანონოდ არიან დაჭერილები. მე რაბ ხალვაშია გვითხრა, რომ შეისწავლიდა ფაქტებს, იურისტებთან გაივლიდა ამ საქმეს და შემდეგ მიიღებდა გადაწყვეტილებას, თუ რა სახის განცხადებას გააკეთებდა. სტუდენტები ველოდებით მის განცხადებას, - თქვა „აჭარასთან“ საუბარში ბსუ-ის სტუდენტმა და პროტესტის ერთ-ერთმა მონაწილე არჩილ ბერიძემ.

მსგავსი აქცია საქართველოს ყველა ქალაქში გაიმართა. თბილისში, სხვადასხვა კომპანიის გაფიცულმა თანამშრომლებმა ჭავჭავაძის გამზირზე საავტომობილო გზა გადაკეტეს. გადაიკეტა რესპუბლიკის მოედანიც. 3-დან 6 საათამდე დაიხურა სხვადასხვა მაღაზია, კვების ობიექტი, ოფისი და საწარმოები. გაფიცვის შემდეგ მოქალაქეები რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის წინ ყოველდღიურ აქციას შეუერთდნენ.



# ქართული თეატრის დღე და ხათუმის დრამატული თეატრი - საპროტესტო აქციების ფონზე

მარიამ ხოთაროშვილი 27 48 93

ქართული თეატრის დღე, 14 იანვარი, 1884 წლიდან აღინიშნება. ბევრს მგონია, 1850 წლის 14 იანვარი (ძველი სტილით - 2 იანვარი) ქართული თეატრის დაბადება-დაარსების თარიღია. სინამდვილეში, ყოველი წლის 14 იანვარს აღდგენილი ქართული პროფესიული თეატრის დღეს აღვნიშნავთ, რომელიც „გიორგი ერისთავის თეატრის“ პირველი წარმოდგენის თარიღს უკავშირდება.

ხათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში მიმდინარე მწვავე საპროტესტო აქციების ფონზე გადავწყვიტეთ, ჩავვეწერა ხათუმის დრამატული თეატრის მსახიობები (რომელთა შორის, ბუნებრივია, სხვადასხვა შეხედულების პიროვნებები არიან) და გვეკითხა, რას უსურვებენ ქართულ თეატრს და, კონკრეტულად, ხათუმის დრამატულ თეატრს, ასევე, საშუალება მივეცით, დაედგინათ თეატრში არსებულ პრობლემებსა თუ გამოწვევებზე...

**მამუკა მანუჩაძე:**  
- ვულოცავ ქართული თეატრის დღეს ყველა თეატრს და თეატრის მოყვარულებს.


ჩემთვის ქართული თეატრის დღე მამუკა მანუჩაძის და დედამისის ვიზიონერობა და ვიზიონერობა, როცა ჩემს მეგობრებს, კოლეგებსა და უკანონოდ დაკავებულებს გაათავისუფლებენ და დაგვიბრუნდება ის ხალისიც, რომლითაც სიყვარულით ვაკეთებთ ჩვენს საქმეს. იმედია, ეს მალე მოხდება. რაც შეეხება ჩემს თეატრს - ვუსურვებ, პირველ რიგში, საინტერესო შემოქმედებით პროცესს, გემოვნებით დადგმულ სპექტაკლებს (რაც დიდი ხანია, აღარ ყოფილა), საინტერესო რეჟისორების მოწვევას და ყველაზე მთავარს - ჩვენს ერთგულ მაყურებელს არასოდეს გავუტრუოთ იმედი და მოლოდინი, რაც წლებია, აქვს ჩვენი თეატრის მიმართ. კიდევ ერთხელ ჩემი სოლიდარობა - უკანონოდ დაკავებულ მსახიობებს, მეგობრებს, კოლეგებს, განსაკუთრებით, ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის დეკან მამუკა კობახიძეს და ჩვენს უნიჭიერებს, უკარგვს 4 სტუდენტს.

**ტიტო კობახიძე:**  
- ამდენი სისხლი, ცემა, გალანძღვლილი და შეურაცხყოფილი თაობა, უკანონოდ დაჭერილი მსახიობები და კიდევ უამრავი ახალგაზრდა... სიტყვა და არჩევანწართმეული ერთი და ჩემი თეატრი, სადაც მონსტრი გვიზის ხელმძღვანელად და დიქტატორს ამყარებს თავისი ტყუილი ადამიანი, რომელიც, როგორც დავასკენი, მსახიობებს ვერ იტანს. უბრალოდ, იყენებს თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის მცირედი გასამრცხლოების და პრემიების ხარჯზე. ალბათ ჩემად დასცინის კიდევ „პროვინციის“ თეატრსა და მის დასს - რა ადვილი სამართავი ყოფილაო, ფიქრობს, მაგრამ ეწმდება, ეს თეატრი ითმენს ხოლმე, მაგრამ არავის არავფერს პატიობს. მინდა ჩემს კოლეგებს ვუსურვო, გამონახონ საკუთარ თავში ძალა - გაუძლონ ამ ტყვეობას და წინებს, მოუფრთხილდნენ ნერვებს, რადგან ახლა უნდა ვიყოთ ისეთი გაწონასწორებული და მშვიდები, როგორც არასდროს. გონებას სიმშვიდე სჭირდება, ეს ყველაფერი რომ გადავლახოთ, რაც დაგვემართა და ახალი, თანამედროვე, ევროპული პრინციპების სახელმწიფოდ ვიცვალოთ ფერი! ჩემს თეატრს ვუსურვებ იმ მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლას, ახლა რომ იძვრება და გაეგრძელებინოს თავისუფლად არსებობა მაყურებლის და თაობების საკეთილდღეოდ!

**ოთარ მათაბაძე:**  
- ამჟამად, ყველაზე ცუდი ქართული თეატრის დღეა ჩემს ცხოვრებაში... არც მილო-



ცვის ხალისი მაქვს და სიტყვა „გილოცავ“, ცოტა არ იყოს, მეუხერხულდება კიდევ... ან ვის რა მივულოცო?! ჩემი კოლეგები ამ ქვეყნის სიყვარულის გამო ციხეებში არიან გამოძევადებული. დღეს ქართული თეატრი ქუჩაშია, თავის მაყურებელთან, იქ, სადაც უნდა იყოს!



მჯერა, ძალიან მალე, ჩვენს მაყურებლებთან ერთად, მივალწევთ მიზანს და საბოლოოდ გაათავისუფლებთ ამ ქვეყანას! დღეს იბადება ახალი სამოქალაქო საზოგადოება და მასთან ერთად იბადება ახალი ქართული თეატრი. ამას წინ ვერავინ დაუდგება! მანამდე კი აუცილებლად ვიდგებით ქუჩებში უცვლელი მოთხოვნებით: „განთავისუფლდნენ რეჟიმის ტყვეები“ და „დაინიშნოს ხელახალი არჩევნები!“.

**მარია ცხეხვაძე:**  
- ჩვენს თეატრს შემოქმედებით თავისუფლებას, იმედის დაბრუნებას, პროფესიონალიზმს და მაღალ ხელოვნებასთან შეხებას ვუსურვებ. სამწუხაროდ, ახალ სამხატვრო ხელმძღვანელთან პირადად მე ძალიან მძიმე ურთიერთობა მაქვს. იგი ყველანაირად ცდილობს, ის საპროტესტო პროცესი, რომელიც ახლა ხათუმის თეატრში მიმდინარეობს, პოლიტიკურ



ჭრილობაში განიხილოს, მაგრამ მინდა ჩემმა მაყურებელმა იცოდეს, რომ ეს ასე არ არის. არ აქვს მნიშვნელობა, რა პოლიტიკური გემოვნების არიან დღეს ჩვენი თეატრის მსახიობები და აქ მომუშავე პერსონალი. რამდენიმე სამხატვრო ხელმძღვანელი მყავს გამოცვლილი, მაგრამ მსგავს შემთხვევასთან საქმე არ გვექონია. ცდილობს, რომ ჩვენი უმაცყოფილება პოლიტიკით შეფუთოს. სოციალურ ქსელში წავაწყდი ჩემზე განაწყენებული მაყურებლის რამდენიმე კომენტარს, რამაც გული ძალიან მატკინა. ჩვენ ყველასთვის ვთამაშობთ, მიუხედავად პოლიტიკური გემოვნებისა, პატივს ვცემთ და მაღალფეროვან განურჩევლად ყველა მაყურებლის. მინდა, ისინი გულისხმობით მოეკიდონ ჩვენს სათქმელს. იმ პერიოდში, როცა სიტუაცია აირია, ჩვენი ღვაწლმოსილი მსახიობების ნაწილი ადმინისტრაციის საშუალებით შევიდა და დროებით სპექტაკლების შეჩერება ითხოვა, მათ ამით ახალგაზრდებისთვის თანადგომის გამოცხადება სურდათ, რაზეც სასტიკი უარი მიიღეს. ცხადია, ვყოყმანობდით, ვფიქრობდით, რომ მაყურებელიც ჩვენია, მოქალაქეობრივი აზრის დაფიქსირების საშუალებად ყოველთვის და ყველგან გვაქვს, მაგრამ სხვა რა უნდა გავგვეკეთებინა, გარდა სოლიდარობის გამოცხადებისა, როცა წაქცეულ ახალგაზრდას თავში ფეხს ურტყამენ?! ზუსტად ეს დღე იყო... სპექტაკლამდე რამდენიმე საათით ადრე თეატრის ფეხსუქვევრზე ქვეყნდება ბატონი ალექსანდრე ქანთარიას მიმართვა რეპერტუარის თამაშის გაგრძელების შესახებ, რამაც მაყურებლის აღშფოთება გამოიწვია. ენით უთქმელი კომენტარები წავიკითხეთ...

იძულებული ვაგზდით, დაგვეწერა, რომ ეს იყო ჩვენთან შეუთანხმებლად გამოქვეყნებული პოსტი. არ ვიცით, რატომ მისცა საკუთარ თავს იმის უფლება, რომ თეატრის სახელით განცხადებები ეკეთებინა. ამასობაში ვიგებთ, რომ აქციის მონაწილეები თეატრისკენ დაიძრნენ... თქვენ ხვდებით, რა შეიძლება ამას მოჰყოლოდა?! მიუხედავად იმისა, რომ იმ დღეებში ვავადმყოფობდი (ვირუსი მქონდა) წავედი და თეატრთან ძალიან უსიამოვნო საპროტესტო აქცია ვნახეთ - თეატრის წინააღმდეგ მიმართული... კიდევ კარგი, რომ მსახიობების ნაწილმა, ვინც ამ სპექტაკლში მონაწილეობდნენ, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ არ ეთამაშათ. ვთქვით, რომ ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ალექსანდრე ქანთარიას მიმართული ბრალი! არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება თეატრში მსგავსი რამ ხდებოდეს. სწორედ იმიტომ ავირჩიეთ გაბრაზებული მაყურებლის მხარე, რომ მათთვის გული მოგვეღობა, გვეთქვა, რომ ჩვენც თქვენთან ვართ, იმედს ვიტოვებდით, რომ ის ხალხი, ვინც სახლში იჯდა, ამას გაიგებდა... ვერ გაიგო... ნებისმიერ დროს თეატრი ჩაგრულის მხარესაა, თუნდაც ის შეცდომაში იყოს შესული. ჩვენ ჰუმანიზმს ვემსახურებით, ბატონი ალექსანდრე კი მწიმილურად ცდილობს, ამ პროცესს პოლიტიკური სახე მისცეს და ამ ყველაფრის შემდეგ დაუდევრად, ისევე ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, საყვედურებს უცხადებს მსახიობებს, რომლებიც იქ იდგნენ. ამოიჩემა სამი მსახიობი და გამოუცხადა საყვედური, არადა, ჩვენ ყველანი იქ ვიდექით! ძალიან რთულ სიტუაციაში ვართ. არცერთ თეატრში არ ხდება მსგავსი რამ. ეს არის ადამიანი, რომელიც აზროვნების უფლებას გვართმევს და ბრძოლას გვიცხადებს. გამოსავალს მხოლოდ და მხოლოდ იმაში ვხედავ, რომ ეს კაცი გათავისუფლებულ იქნას თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან! არ ვიცი, ამ ყველაფრის შემდეგ როგორ აპირებს ჩვენთან ურთიერთობის გაგრძელებას. ხელშეკრულებებს 3 თვით გვიფორმებს და აპრილში რეორგანიზაციით გვემუქრება... არ მეშინია! თეატრიდან გაშვებთაც ვერ შემაშინებს! ბატონი ალექსანდრეს ნაირი ჩვენ მოგვყავს, აჭარის ხელისუფლება ქიარობს, რომ ჩვენ გვემსახურებს, ჩვენ კი მაყურებელს. ამ ჭკუც იგი ვერ დაარღვევს!

ღვანელის თანამდებობიდან! არ ვიცი, ამ ყველაფრის შემდეგ როგორ აპირებს ჩვენთან ურთიერთობის გაგრძელებას. ხელშეკრულებებს 3 თვით გვიფორმებს და აპრილში რეორგანიზაციით გვემუქრება... არ მეშინია! თეატრიდან გაშვებთაც ვერ შემაშინებს! ბატონი ალექსანდრეს ნაირი ჩვენ მოგვყავს, აჭარის ხელისუფლება ქიარობს, რომ ჩვენ გვემსახურებს, ჩვენ კი მაყურებელს. ამ ჭკუც იგი ვერ დაარღვევს!

**ზაალ ბოგუშაძე:**  
- ვულოცავ ყველა თეატრალს ქართული თეატრის დღეს, ჩემს ქვეყანას კი სიმშვიდეს, გონიერებას, აზროვნებას, გულწრფელობას ვუსურვებ. ასეთ შემთხვევაში თეატრშიც სიმშვიდე იქნება, ქუჩაშიც და ქვეყანაშიც. რაც შეეხება ზოგადად ვითარებას ქართულ თეატრში და კონკრეტულად - ხათუმის თეატრში, რა თქმა უნდა, გაიმარჯვებს საღი აზრი და ყველაფერი დაუბრუნდება სამუშაო კალაპოტს, მთავარია იყოს ამის სურვილი. ზოგადად, მეზობლებს რადიკალიზმი, რომელი მხრიდანაც უნდა იყოს ინსპირირებული. ყველა ჩვენგანმა თავი მიუძღვნას საქმის, ქვეყნის გულწრფელ მსახურებას და ყველაფერი ძალიან კარგად იქნება. ყველაფერი ჩავივლის ძალიან მალე! რაც შეეხება ბატონ ალექსანდრეს, მე აბსოლუტურად კონსტრუქციულად ვთანამშრომლობ ამ ადამიანთან და მხოლოდ საქმეზე ვარ ორიენტირებული. არ დავიწყებ მტყუან-მართლის გარჩევას, მაგრამ გონიერება ყველა მხარეს მართებს, კონკრეტულად თეატრს თუ გველისხმობთ.



გონიერებას, აზროვნებას, გულწრფელობას ვუსურვებ. ასეთ შემთხვევაში თეატრშიც სიმშვიდე იქნება, ქუჩაშიც და ქვეყანაშიც. რაც შეეხება ზოგადად ვითარებას ქართულ თეატრში და კონკრეტულად - ხათუმის თეატრში, რა თქმა უნდა, გაიმარჯვებს საღი აზრი და ყველაფერი დაუბრუნდება სამუშაო კალაპოტს, მთავარია იყოს ამის სურვილი. ზოგადად, მეზობლებს რადიკალიზმი, რომელი მხრიდანაც უნდა იყოს ინსპირირებული. ყველა ჩვენგანმა თავი მიუძღვნას საქმის, ქვეყნის გულწრფელ მსახურებას და ყველაფერი ძალიან კარგად იქნება. ყველაფერი ჩავივლის ძალიან მალე! რაც შეეხება ბატონ ალექსანდრეს, მე აბსოლუტურად კონსტრუქციულად ვთანამშრომლობ ამ ადამიანთან და მხოლოდ საქმეზე ვარ ორიენტირებული. არ დავიწყებ მტყუან-მართლის გარჩევას, მაგრამ გონიერება ყველა მხარეს მართებს, კონკრეტულად თეატრს თუ გველისხმობთ.

ჩვენ შევეცადეთ, ხათუმის დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ ალექსანდრე ქანთარიას კომენტარიც მოგვესმინა, ეს მცდელობა მთელი დღის განმავლობაში გაგრძელდა, ვესაუბრეთ მის მდივანსაც, მაგრამ ბატონმა ალექსანდრემ ჩვენს სატელეფონო ზარებს არ უპასუხა.

ყველა დასსა და თეატრალს ვულოცავთ ქართული თეატრის დღეს და მათთან ერთად ვისურვებთ - გამოვლანდნენ, ძლიერ და ევროპისათვის შესაფერ კაპარტველოში გვეცხოვროს.

## იდეტიფიკაციის 88 წლის წინ გაუჩინარებული რეპრესირებული მე-6 ნომერი

მარიამ ხოთაროშვილი 27 48 93

88 წლის შემდეგ საქართველოს სასამართლო ანთროპოლოგიის ასოციაციამ აღდგენის, დოკუმენტაციის და იდენტიფიკაციის ქართული პროექტის ფარგლებში, პოლონიის პრემიარის სამედიცინო უნივერსიტეტის სასამართლო გენეტიკის დეპარტამენტთან, აშშ-ის ტენესის, მიჩიგანისა და ნიუ-მექსიკოს სახელმწიფო უნივერსიტეტების ანთროპოლოგიის დეპარტამენტებთან და აჭარის პოლიტიკური რეპრესირების მსხვერპლთა და მათ შთამომავალთა სოციალური დაცვის არასამთავრობო ორგანიზაცია „მემორიალთან“ მჭიდრო თანამშრომლობით 1937-1938 წლებში რეპრესირებული კიდევ ერთი პირის - ჰუსეინ ბალაძის იდენტიფიცირება წარმატებით მოახდინა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯამში იდენტიფიცირებულია 6 პირი ხელგაჩაურის მე-5 სამარხიდან. სამთავრობო კომისიისა და ხელგაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის ზაზა დიასამიძის მეშვეობით სოფელ ფერიაში გამოიყო ამბულატორია, სადაც დნი ანალიზის კვლევა ჩატარდა, სწორედ ამის მეშვეობით მოხდა აღდგენა.

არსებული ინფორმაციით, ჰუსეინ ბალაძის ოჯახს იდენტიფიცირების შესახებ უკვე აცნობეს. 88 წლის წინათ გაუჩინარებული წინაპრის აღდგენის პროექტის და ბედის გარკვევა უდიდესი შვების მომტანია დაკარგულის ოჯახისთვის.

- წარმატებით მოხდა საბჭოთა რეპრესირების კიდევ ერთი მსხვერპლის - ბალაძე ჰუსეინის იდენტიფიცირება. ეს მნიშვნელოვანი მიღწევა განხორციელდა "აღდგენის, დოკუმენტაციის და იდენტიფიცირების ქართული პროექტის" ფარგლებში. სასამართლო ანთროპოლოგიის ასოციაცია მტკიცედ განაგრძობს აჭარაში საბჭოთა რეპრესირების მსხვერპლთა იდენტიფიცირების პროცესს, რათა დაეხმაროს შთამომავლებს დაკარგული ოჯახის წევრების პოვნაში და უზრუნველყოს მსხვერპლთა ღირსეული დაკრძალვა. ეს პროცესები წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს საქართველოში, საბჭოთა ეპოქის რეპრესირებული დაზარალებული ოჯახებისთვის ისტორიული სამართლიანობის აღდგენისა და სიმართლის აღდგენის პროცესში, - გვითხრა სასამართლო ანთროპოლოგიის ასოციაციის პრეზიდენტმა, სასამართლო ანთროპოლოგმა მერი გონაშვილმა.

# ქართული ეკლესიის მებარსებრი და მასთან დაკავშირებული ეპიზოდები

ოთარ ცინაიძე 599 85 21 14

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დამაფუძნებელი პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, 1977 წლის იანვრიდან კი შუახვევის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორმა, პრესაში დაიწყო საქმიანობა. 48 წელია ჟურნალისტიკის ბლოკნოტი, დიქციონარი თუ ფოტოპარტი ჩემი განუყოფელი ატრიბუტებია

წინა საუკუნის 80-იან წლებში, პროფესიის უკეთ დასაუფლებლად, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე ჩავირიცხე. მედაუსწრებელ სტუდენტებს ლექციების კურსი იანვარში და მას-ივნისში გვიტარებდნენ. მაშინ უქმეებდა არც 7 იანვარი და არც 26 მაისი იყო გამოცხადებული. კომუნისტურ ეპოქაში ქრისტესობასა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ხმამაღლა ვერც კი ასხენებდი.

1983 წლის იანვარი იყო. ტყეზულელმა გივი გეგუაძემ, ჩხობოწყუელმა ნუგზარ უვანიამ, ქარელელმა ცილა კახიაშვილმა, თბილისელმა მზია გიორგობიანი საქართველოს საპატრიარქოს ჟურნალი „გვარი ვაზისა“ მოგვითარეს. მაშინ სამსახურებში რელიგიური ჟურნალის კითხვაც კი იკრძალებოდა. ახალი ჟურნალი ხელიდან ხელში საიდუმლოდ გადადიოდა. მათვე გამანდეს: ხვალ სიონში საშობაო წირვაზე მივიღივართ და ჩვენთან ერთად ხომ არ წამოხვალთო. წირვას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ადავლენდა. სიამოვნებით დავთანხმდი. იმ დღეს წილად მერგო პატივი, დავსწრებოდი საშობაო წირვა-ლოცვას. ჭვარსა და პატრიარქის მარჯვენას პირველად გემთხვიე.

1989 წლის 9 და 19 აპრილი ქართველი ერის ისტორიაში ტრაგიკულ დღეებადაა ჩაწერილი. უკვე გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ საკუთარი კორესპონდენტი აჭარის მთიანეთში, ამ



ლმაც გადაგვარჩინა ჩვენ, ყველანი“. ქადაგების შემდეგ პატრიარქმა საყოველთაო ნათლობა ჩაატარა. 150 ნათელდებულთან ერთად, მეც მართლმადიდებლობას ვეზიარე. ყველას ნათლია უწმინდესი გახდა. 29 მაისს სხალთის ტაძრის წინამძღვრად დეკანოზი იობი (აქიაშვილი) დაადგინეს. იგი ახლა რუსეთის ეპარქიის მღვდელმთავარია. არ დამავიწყდება კოლეგის, ცნობილ პუბლიცისტ ნუგზარ ჯავახიშვილის ნათქვამი: „ჩემი ოცნება იყო სხალთის ტაძრის ხავსმოკიდებული კედლებიდან ისევ გამეგონა მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვა. ბედნიერები ვართ ყვე-

ნელმა. აჭარა ჩვენი ქრისტიანული ფუძე, აქედან გავრცელდა მთელს საქართველოში ქრისტიანობა“.

მეორე დღეს ამ მოვლენისადმი მიძღვნილი სტატია გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ დაგვბეჭდეს.

1989 წლიდან მოყოლებული, უფლის შემწეობით, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის, ბათუმი-სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოს მიტროპოლიტ დიმიტრის ლოცვა-კურთხევით, ტაძრები აშენდა დაბა ხულოში, დაბა ქედაში, ზვარეთში, გამონათლევში, სოფელ გულების შესასვლელთან და-



ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებით, ყველა საჭირო ინფორმაციას გაზეთის რედაქციას ვაწვდიდი, გამორჩეულად - ხულოს რაიონის სოფელ წაბლანაში სტიქიის შედეგად ჩამარხული 23 ადამიანის ძეხვის სამუშაოების შესახებ. 1989 წლის 29 მაისს სტიქიის ზონაში უწმინდესი და უნეტარესი ჩამობრძანდა, რომელმაც დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა. იმავე დღეს, საუკუნოვანი დუმილის შემდეგ, სხალთის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის კარები გაიხსნა. პატრიარქმა მღვდელმთავარებთან ერთად ლოცვა-კურთხევას შემდეგ იქადაგა: „შევსთხოვ უფალს, რომ საქართველოს ამ ერთ-ერთ უწმინდა მხარეში, აჭარაში, კვლავ გაიხსნას ტაძრები... იმედი მაქვს, რომ ღვთის მადლითა და ლოცვა-კურთხევით ისევ დაუვრბუნდებით იმ ჩვენს ძლიერ ფესვებს, რომელმაც გადაარჩინა საქართველო, რომე-

ლანი, რომ ამ დღეს მოვესწარიო“. ნუგზარის მოინათლა. დღის ბოლოს პატრიარქმა შუახვევში, რიკინეთის უბანში, შუახვევის რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელების ალექსანდრე ჯიბლაძისა და ვლადიმერ მამულაძის თხოვნით, 9 აპრილის ხსენის წყარო დალოცა. ახლა ეს ტერიტორია „9 აპრილის ხეივანი“ სახელითაა ცნობილი და კულტურულ ღონისძიებებს მასპინძლობს. 1991 წლის ზაფხულში აქ პირველი საყოველთაო ნათლობაც ჩატარდა.

1989 წლის მაისში, ბათუმში საკათედრო ტაძრის გახსნას მეც ვესწრებოდი. მაშინ უწმინდესმა ბრძანა: „ქართული ეკლესია 2000 წელს ითვლის. ჩვენი ქრისტიანობა დაიწყო აი, აქ, ამ წმინდა ადგილზე, აჭარაში. ვამაყობთ, რომ პირველ საუკუნეში აქ დაიწყო სახარების ქადაგება წმინდა მოციქულებმა - ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანა-

იწყო წმინდა ევდემოზის სახელობის ტაძრის მშენებლობა. შუახვევის რაიონის სოფელ ჭალაში, კოკობილის გორაზე მშენებარე ტაძრის საძირკველი ამოიყვანეს. ხულოში ღვთისმშობლის ხარების ტაძრის მშენებლობაში თავისი დიდი წვლილი შექმნიდა ბათუმის ნავთობ გადასამუშავებელი ქარხნის მაშინდელ დირექტორ ზვიად ცეცხლაძეს. საშვილი-შვილო საქმეს ხელს არ აკლებდა შპს „ფონის“ დირექტორი, შემდგომში საქართველოს პარლამენტის ხუთი მოწვევის დეპუტატი ანზორ ბოლქვაძე.

ტაძარი საზეიმოდ აკურთხეს 1998 წლის აგვისტოში, ხულოში პატრიარქი ჩამობრძანდა. მან და ბათუმ-სხალთის ეპარქიის მღვდელმთავარებმა წირვა-ლოცვა აღავლინეს, ნათლობა ჩაატარეს, მასალა ამის შესახებ, ჩემი ავტორობით, გაზეთ „აჭარაში“ გამოქვეყნდა.

2006 წლის დეკემბრის სუსხიან დღეს,

შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაშინდელი თავმჯდომარის, ვაჟა დავითაძის, წინამძღოლობით, 30-წევრიანი დელეგაცია სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში ჩავედით. იმ დღეს უწმინდესმა და უნეტარესმა სხალთის ეპარქიის მღვდელმთავრად გამწესება მიულოცა მეუფე სპირიდონს, რომელიც წმინდა სინოდმა ახლად დადგენილი ეპარქიის ეპისკოპოსად გამოარჩია.

უწმინდესმა ქადაგებაში ბრძანა: „მრავალი მოწამე, ღირსეული ქართველი შეეწირა ამ წმინდა მიწაზე ქრისტიანობას. ჩვენი წინაპრები ამბობდნენ: ადამიანმა საქართველოში ერთი მუტა მიწა რომ აიღოს, განსაკუთრებით აჭარაში, ხელი მოუჭიროს, ქართული სისხლი გამოედინება... 27 წლის ასაკში ახალბედა მოძღვარი აჭარაში გამაწესეს. მაშინ ვნახე, რამდენად დიდა ამ კუთხეში მშობლიური მიწა-წყლის სიყვარული, რამდენად წამებულია ეს მიწა. მრავალი დარბევა და უბედურება გადაიტანა ამ მიწამ“. მან უსურვა მეუფე სპირიდონს, გაეგრძელებინა აჭარის მთიანეთში ტაძრების მშენებლობა.

ისმენს უფალი უერთგულესი მსახურების ვედრებას. უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის, სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოს მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევით, ტაძრები აშენდა დაბა ხულოში (წმინდა ანდრია პირველწოდებულის), დაბა შუახვევში (წმინდა სამების), ხიჭაურის დასახლებაში (ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის), ზესოფელში (წმინდა სერაფიმე საროველის), სხალთაში, დაბა ქედაში, ხიჭაურის დასახლებაში, სოფელ ფურტოში (ელგაური)... მალე ტაძრის მშენებლობა დაიწყება სოფელ დიდაჭარაში, თარანგელის მთაზე, სადაც ქრისტესობიდან 37 წელს ტაძარი ააშენეს და სახარება იქადაგეს ქრისტეს მოციქულებმა.

საშვილი-შვილო სამუშაოები შესრულდა სხალთაში: მთავარ ტაძარს რესტავრაცია ჩაუტარდა, დაკონსერვდა მარანი, ტერიტორიას გალავანი შემოავლეს. მიმდინარე სამუშაოების მოსანახულებლად, 2007 წლის 10 ივლისს, უწმინდესი და უნეტარესი სხალთაში მეორედ ჩამობრძანდა. ეპარქიების მღვდელმთავრების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის მთიანეთის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელების თანდასწრებით, საყოველთაო წირვა-ლოცვა აღავლინა. ის დღე საგაზეთო წერილითა და ფოტოკოლაჟით გაზეთ „აჭარაში“ აისახა, სტატია ჩემი ავტორობით გამოცემულ წიგნშიც „ხულო და თანამედროვეობა“ დაიბეჭდა.

სხალთის ეპარქიის მღვდელმთავარმა მეუფე სარდიონმა შვილის, ოთარ აბულაძის, შორწილი თბილისში გადაიხადა. ქედის, შუახვევის, ხულოს მუნიციპალიტეტებიდან მიპატიუებულთა შორის მეც ვახლდით. ხულოს მუნიციპალიტეტის მაშინდელმა გამგებელმა თემურ ბოლქვაძემ ისურვა, რომ უწმინდესსა და უნეტარესს საპატრიარქოს რეზიდენციაში შეგხვედროდით... იმ დღეს ჩემ მიერ გადაღებული ფოტოები ბათუმის სახელმწიფო არქივშია დაცული.

სხალთელი და ბოლნელი მთავარეპისკოპოსების - მეუფე სპირიდონის, მეუფე ეფრემის ლოცვა-კურთხევით დაწესდა საღვთო დღესასწაული „გვარობა“, რომელიც მთა ღომაზე ტარდება.

დასამახსოვრებელია ის დღე, როცა საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის აბუსერისძე ტბელის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, სტუდენტებმა სასწავლო-შემოქმედებითი ექსპედიცია მოაწყვეს პატრიარქის მშობლიურ სოფელ სნოში. უწმინდესის წირვა-ლოცვას დავესწარი გერგეტის ტაძარში. მასთან ერთად მოვინახულეთ დარიალთან მშენებარე სამონასტრო კომპლექსი. იმ დღის ფოტოები და საგაზეთო სტატია უკვე ისტორიის კუთვნილებაა.

პატრიარქის აღსაყდრების 35 წლის-თავთან დაკავშირებით, სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა მეუფე სპირიდონმა სამების საკათედრო ტაძარში 1300 მომლოცველი ჩავეყვანა. საპატრიარქოს რეზიდენციის ეზოში პატრიარქმა შეხვედრა მოგვიწყო. სხალთის ეპარქიის მაგლობელთა გუნდის წევრებმა ყველა მოხიბლეს. უწმინდესისა და უნეტარესის განსაკუთრებული ყურადღება მიქცევს ხელოვანმა იაგო ჭურჭვეიძემ და ნორჩმა დეკლამატორმა ნინო ქარკვეიძემ. როცა ნინომ ფრიდონ ხალვაშის ლექსი „მე და ჩონგური“ წაიკითხა, პატრიარქმა იგი მასთან იხმო და გულში ჩაიკრა.

# საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი გამოწვევები

ლავა ხომბიკი 593 50 82 69

მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები თითქმის ყველა ქვეყანაში პოპულარულ გამოძახილს და მჭიდრო ურთიერთკავშირშია. გამოწვევები ამ მხრივ თვალსაჩინოა: რუსეთ-უკრაინის ომი, ირან-ისრაელის ურთიერთდაპირისპირება, სირიაში ასადის რეჟიმის დამხობა, ჩინეთის მზარდი ჰეგემონური ამბიციები სწორედ იმას ცხადყოფს, რომ მსოფლიოს ახალი მართლწესრიგის ფორმირება მიმდინარეობს. როგორ იქნება ეს ახალი წესრიგი, ბევრწილად დამოკიდებულია რუსეთ-უკრაინის ომის შედეგზე, ასევე იმაზე თუ რამდენად შეძლებს დასავლეთი არა მხოლოდ რუსეთის აგრესიის შეჩერებას უკრაინაში, არამედ როგორ წარამართება აშშ-ჩინეთის თანამშრომლობა და რა საკითხები იქნება საგარეო კუთხით ვაშინგტონის პრიორიტეტული. ამ საკითხებზე გვესაუბრება ჰამბურგის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (ქობა) დოქტორანტი **ქობა ჯუშუშაძე**.



ტი, საქართველოს ხელისუფლების თანხმობით, მიზნულია ჩინურ კომპანიებთან და, ბუნებრივია, ტრამპს ამ რაკურსით უფრო მოხვდება თვალში. ჩინეთი იქნება ის პრობლემა, რომლითაც ტრამპი დაკავდება. ჩინეთთან მიმართული რუსეთი, ასევე, აღსანიშნავია ჩინეთის თანამშრომლობა სამხრეთ აზიის ქვეყნებთან. შესაბამისად, ტრამპი შეეცდება, გააძლიეროს საზღვაო მიმოსვლის არხები, რომლითაც ჩინეთი აკონტროლებს მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას. ბუნებრივია, შვ და ხმელთაშუა ზღვაზეც თავისი მოკავშირეების

და. აქამდე მთავარი აქტორი აშშ იყო. ჩვენ დაახლოებით ორი ათწლეულის განმავლობაში თვალს ვადევნებთ ჩინეთის მზარდ ინტერესს საიბისოდ, რომ მსოფლიო არა ერთპოლუსიანი, არამედ მრავალპოლუსიანი გახდეს. ერთ-ერთი აქტორი არის ჩინეთი ეკონომიკური სიძლიერიდან და ეკონომიკური ბერკეტებიდან გამომდინარე, რომელიც მას გააჩნია არა მხოლოდ უშუალო სამეზობლოში, არამედ ევროკავშირსა და ამერიკაშიც.

**- არის ვარაუდი, რომ ტრამპი შეეცდება, უკრაინაში ომი დაასრულოს. რა არის მოსალოდნელი?**

- ტრამპის დაბრუნება იყო, რომ ომს უკრაინაში დაასრულებდა. როგორც ცნობილია, აშშ მილიარდობით დამხმარე დახმარების პაკეტს ამზადებს უკრაინისთვის. ეს, ბუნებრივია, ხდება ბაიდენის და ტრამპის ადმინისტრაციების შეთანხმებით. როგორც ჩანს, ტრამპი შეეცდება მშვიდობის დამყარებას ძალისმიერ მეთოდებით, როგორც ეს გასულ საუკუნეში ჩვენ ვნახეთ რეიგანის მმართველობის მაგალითზე - მშვიდობა ძალით, ანუ მაქსიმალური შეიარაღება იმ მოტივით, რომ თუ შენ გადადგამ ძალისმიერ ნაბიჯს, აუცილებლად მიიღებ ძალას საპირისპიროდ. ეს, რა თქმა უნდა, ნებისმიერი ატომური სახელმწიფოსთვისაც კი არის შემავფრთხილებელი ფაქტორი.

**- რა უნდა გააკეთოს დასავლეთმა, რომ ეს ომი უკრაინის სასარგებლოდ დასრულდეს?**

- მაქსიმალური სამხედრო და, ასევე, ინტელექტუალური დახმარება, ვგულისხმობ, განსაკუთრებით, ჯარის წვრთნას და მომზადებას იმისთვის, რომ უკრაინის არმია არ ეყრდნობოდეს პოსტსაბჭოთა სივრცის სამხედრო ტექნოლოგიებს როგორც ველზე, ისე დაზვერვის საკითხებში, შესაბამისად, აუცილებელია უკრაინის მხარდაჭერა იმისთვის, რომ ეს ომი, საბოლოოდ, თუნდაც ლისაბონამდე არ

**- საერთაშორისო პოლიტიკაში რა კონკრეტული მოვლენები იკვეთება?**

- ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით, სირიის მოვლენები გააქტიურდა, იქ 50-წლიანი დინასტიური რეჟიმი დაეშვა. ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა, ამის პრეისტორია უნდა ვეძებოთ 2023 წლის 7 ოქტომბრის მოვლენებში, როდესაც, ფაქტობრივად, ჰამასი თავს დაესხა ისრაელს, შემდეგ მოხდა ჰამასის განეიტრალება, ამას კი მოჰყვა ისრაელის დაპირისპირება ჰესბოლასთან. როგორც ჩანს, ისრაელური სახელმწიფოს ერთმა ნაწილმა (რომელიც დაბანაკებული იყო სირიის ჩრდილოეთში) იგრძნო მომენტუმი, დრო, როდესაც მას შეეძლო მოქმედების დაწყება და ამოხევის გაგრძელება, რომელიც, ფაქტობრივად, მიეგვსე წელია, გაჩერებული იყო 2017 წლის

## ჩინეთი ერთ-ერთ მთავარ როლს შეასრულებს მსოფლიო პოლიტიკაში და ეს ცხადია. აქამდე მთავარი აქტორი აშშ იყო. ჩვენ დაახლოებით ორი ათწლეულის განმავლობაში თვალს ვადევნებთ ჩინეთის მზარდ ინტერესს საიბისოდ, რომ მსოფლიო არა ერთპოლუსიანი, არამედ მრავალპოლუსიანი გახდეს. ერთ-ერთი აქტორი არის ჩინეთი ეკონომიკური სიძლიერიდან და ეკონომიკური ბერკეტებიდან გამომდინარე, რომელიც მას გააჩნია არა მხოლოდ უშუალო სამეზობლოში, არამედ ევროკავშირსა და ამერიკაშიც

შემდეგ. შესაბამისად, ამ ყველაფერში ძალიან ბევრი ფაქტორი გამოვლინდა, რამაც აგრძობინა მათ, რომ ქალაქების დაკავება შეეძლოთ. აღმოჩნდა, რომ ასადის არმია ბრძოლისუნარიანი იყო ამ შეტევისთვის. ამოხეხულ ბმა დაამხეს ასადის რეჟიმი.

**- რატომ ვერ ან არ დაიცვა კრემლმა ასადის რეჟიმი?**

- თვალნათლივ ჩანს, რომ რუსეთს თავისი დიდი საბრძოლო რესურსის ჩადება უწყევს უკრაინასთან ბრძოლაში, შესაბამისად, მისთვის, ამ ეტაპზე, როგორც შიდა, ისე საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია უკრაინის ფრონტზე გამარჯვება. ცხადია, რუსეთისთვის უმნიშვნელოვანესია სირია, სურდა ასადის რეჟიმის დაცვა, მაგრამ პრიორიტეტი რჩება უკრაინა. იმდენად, რამდენადაც რუსურსების მობილიზებას ახორციელებს ჩრდილოეთ კორეიდან, ირანიდან, ეს ნიშნავს, რომ მისი რესურსები არასაკმარისია ნიშანდობლივი წარმატების მისაღწევად უკრაინის ფრონტზე და ამ რესურსების სირიის მივლინებისთვის განაწილებს მას დამატებით პრობლემებს შეუქმნიდა უკრაინის ფრონტზე... მეორე საკითხია არა მხოლოდ სირია და ხმელთაშუა ზღვა, არამედ აფრიკის ქვეყნების მომარაგება თუნდაც სირიაში არსებული სამხედრო შენაერთებიდან. ამ შემთხვევაშიც კრემლს იმედი აქვს, რომ სირიის არსებული რეჟიმთან და დამყარებს ურთიერთობას და დატოვებს იქ სამხედრო ბაზებს. აქედან გამომდინარე, პირდაპირი ინტერვენციის საჭიროება არ დააყენა წინა პლანზე.

**- გვერდს ვერ აუკეთებთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებულ არჩევნებს. ტრამპი კვლავ გახდა აშშ-ის პრეზიდენტი. რა მთავარი გამოწვევები ელოდება მას საგარეო პოლიტიკაში?**

- ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ჩინეთია. ტრამპმა იცის, რომ ჩინეთი არის აქტორი, რომელიც ცდილობს მის ირგვლივ არსებული, განსაკუთრებით, აზიურ და ევროპულ მატერიკზე მყოფი ქვეყნების დავალდებულებას ფინანსური, ინფრასტრუქტურული პროექტების მეშვეობით. ერთ-ერთი მათგანი არის საქართველოც. თუნდაც ანაკლიის პორ-

ტის გაძლიერებას შეეცდება, რომ ჩინეთის წვდომა ნაკლებად იყოს.

**- დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ აჭობებს, თუკი კანადა აშშ-ის შტატი იქნება, ასევე, არ გამოიტყნა გრენლანდიის მიერთებაც, ეს რისი მანიშნებელია?**

- ამ მომენტში, ტრამპმა დაინახა შესაძლებლობები, რომელიც მისი ინაუგურაციის შემდეგ შეიძლება აქციოს რეალობად, ვგულისხმობ არა მხოლოდ იმას, რომ ამერიკა არის გეოპოლიტიკური პოლუსი, არამედ - ამ პოლუსს რომ შეუძლია იყოს უფრო დიდი, ვიდრე დღეს არის. ტრამპი შეიძლება არ გადავიდეს მილიტარისტულ სამხედრო მოქმედებაზე, მან უბრალოდ დღის წესრიგში დააყენა საკითხები, რომლითაც შეუძლია ვაჭრობა სხვა გეოპოლიტიკურ მოთამაშებებთან, განსაკუთრებით, ჩინეთსა და რუსეთთან. იგივე პანამის არხი, რომელიც მან ახსენა, ჩინეთისთვის არის ერთგვარი მოკლე გზა ტრანსკონტინენტურ გზასთან დამაკავშირებელი, შესაბამისად, ამ კუთხით სურს უფრო მეტი კონტროლი პანამის არხზე. რაც შეეხება გრენლანდიას, აქ უფრო რუსეთს ჰყავდა მხედრობაში და მისგან მომდინარე საფრთხეები ამერიკასთან მიმართებაში, ვგეგმობ, ვაჭრობის საგნად გახდის გრენლანდიის საკითხს... კანადა არის საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, პირდაპირი მისი მიერთება შექმნის პრობლემებს... უბრალოდ, ტრამპმა დააყენა დღის წესრიგში საკითხი, რომელიც მოსაგვარებელია. ვგულისხმობ კანადის მიერ საზღვრის დაცვას ჩრდილოეთიდან მომავალი არალეგალი მიგრანტებისგან, რომლებიც ხვდებიან ამერიკის შეერთებულ შტატებში. შესაბამისად, ამ ყველაფერს გახდის ერთგვარ ვაჭრობის საგნად და ამით უფრო მეტ დივიდენდს წაიღებს ამერიკისკენ, ანუ მისი თვალთახედვა მაინც წმინდა ამერიკული იტალიზმის შეიძლება დაგინახოს. ტრამპი ცდილობს, ამერიკული ჰეგემონიის დამკვიდრებას მსოფლიო გეოპოლიტიკურ თამაშებში.

**- როგორ ფიქრობთ, ჩინეთს გამოუვა მსოფლიო პოლიტიკაში მთავარი როლის შესრულება?**

- ჩინეთი ერთ-ერთ მთავარ როლს შეასრულებს მსოფლიო პოლიტიკაში და ეს ცხა-

მივიდეს, ვინაიდან რუსეთი არის იმპერიული ქვეყანა, რომელსაც იმედი აქვს არა მხოლოდ ყოფილი ვარშავის ბლოკის ქვეყნებზე დაიპყროს, არამედ უფრო დასავლეთითაც შეუძლია მისვლა და თავისი ძალის დემონსტრირება.

**- ამჟამად რუსეთში რა პროცესები მიმდინარეობს? დაწესებულმა სანქციებმა რა ცხადყო?**

- პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, რუსეთი ყოველთვის იყო გამოწვევების წინაშე. დაწესებული სანქციები არის მექანიზმი, რომელიც რუსეთის იერი ქვეყნისთვის რთულად მუშაობს, რაც არ ნიშნავს, რომ სანქციებმა არ იმუშავა. რუსეთის მოუწია შემოვლილი გზებით სარგებო. ახლანდელი მოვლენებიც ცხადყოფს, რომ რუსეთის რესურსები ამოუწურავი არ არის. უკრაინა უკვე აქტიურად უტევს მას მისივე ტერიტორიაზე, შესაბამისად, მისი ეკონომიკის არჩამოშლის ძირითადი ფაქტორი არის ნავთობი, რომლის გადამუშავების რაოდენობაც იკლო. რუსეთის ნავთობგადამამუშავებელი ობიექტები მოხვდა საომარ არეალში და დაზიანდა, ამდენად, მისი ეკონომიკა განიცდის რყევებს. რუსეთი კრიპტოვალუტაში ცდილობს ეკონომიკური ბალანსის შენარჩუნებას, თუმცა თუ ტრამპის ადმინისტრაცია გააგრძელებს უკრაინის დახმარებას სამხედრო თვალსაზრისით, ეს უფრო დაასრულებს მის ეკონომიკას და რუსეთს აუცილებლად დააფიქრებს იმაზე, რომ ომი დაასრულოს.

**- მიმდინარეობს ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირება. ამ მხრივ, რამდენად მოსალოდნელია რუსეთ-უკრაინის ომმა განსაზღვროს ახალი მსოფლიო წესრიგი?**

- ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბება უკვე 2022 წლის 24 თებერვალს დაიწყო, როდესაც რუსეთის არმია უკრაინაში შეიჭრა, ეს ომი აუცილებლად განსაზღვრავს ახალ წესრიგს, ამაზე ყველა სპეციალისტი თანხმდება. პროცესი დაწყებულია, თუმცა რა სახეს მიიღებს მსოფლიო წესრიგი, ამაზე პროგნოზების გაკეთება ჯერ ნაადრევია. ფაქტია, რომ ამ კრიზისიდან უკრაინა გამოვა და როგორც სამხედრო, ისე ინტელექტუალური თვალსაზრისით უფრო ძლიერი იქნება, შეიძლე-

ბა მას მოუწიოს გარკვეულ დათმობაზე წასვლა, თუმცა უკრაინა, როგორც მსოფლიოს გეოპოლიტიკაში მნიშვნელოვანი როლის მთამაზე ფიგურა, გამოიკვეთა და იქნება ერთ-ერთი წინა პლანზე ახალ გეოპოლიტიკურ სურათში.

**- ამჟამად მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები როგორ აისახება საქართველოს მომავალზე?**

- საქართველოს მომავალი უშუალოდ დაკავშირებულია, რა თქმა უნდა, ძლიერი აქტორების გადაწყვეტილებებთან. იმდენად, რამდენადაც საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც აუცილებლად სჭირდება ძლიერი პარტნიორები, ახლა ჩვენი ხელისუფლება ვაფაციცებთ უნდა ეძებდეს პარტნიორებს იმ კუთხით, რა დაკვეთაც გააჩნია ქართულ ხალხს. ეს დაკვეთა პროდასავლური მომავალი. შესაბამისად, თუ არსებულ ხელისუფლებას ეყოფა გონიერება, დანიშნოს ახალი არჩევნები, ანუ აღადგინოს ხიდი ევროპასთან, ეს აისახება უკვე პოზიტიურად და ჩვენ მოგვეცემა განვითარების შანსი. თუ ხელისუფლება არ მოეგება გონს, გააგრძელებს იგივე რიტორიკით საუბარს ქართველ ხალხთან, შეეცდება ასიათასობით ქუჩაში გამოსული ადამიანის იგორირებას, მაშინ ეს პროცესები გამოიწვევს იმას, რომ საქართველო დაუკავშირდება ისეთ ძალებს, როგორებიცაა რუსეთი, ირანი, ჩინეთი. ბუნებრივია, ეს ჩვენს ქვეყანაზე კატასტროფულად აისახება, ჩვენ გავხდებით უკანა ეზო ასეთ ქვეყნების და დავკარგავთ ძლიერი მომავლის შექმნის პერსპექტივას. ვვარაუდებ, რომ ჩვენი დასავლელი პარტნიორები დაგვეხმარებინ, შევდგეთ როგორც სახელმწიფო, საამისოდ ეს გზა გადის მხოლოდ დასავლეთზე, მაგრამ, ამ შემთხვევაში, არა ე. წ. ხელისუფლების გადაწყვეტილებით უნდა ხელისუფლების გადაწყვეტილებით იქნება მნიშვნელოვანი. ჩვენი მომავალი პირდაპირაა დამოკიდებული ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის მშვიდობიანად გადაწყვეტაზე.

**- მმართველი პარტიის წევრების განცხადებით, ივანიშვილი და საქართველოს მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენელი აშშ-მა იმ-იტომ დაასანქცირა, რომ ქვეყანა ომში არ ჩაერთო. რას ფიქრობთ?**

- სიტუაციას შემდეგი კუთხით შევხედოთ: ამერიკელი სენატორის ჯო უილსონის ბოლოდროინდელი განცხადებები მრავლისმთქმელია. ბოლო პერიოდში საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ძალიან დაუხლოვდა ირანს, აგრეთვე გაისმის ხმები იმის შესახებ, რომ ანაკლიის პორტი ჩინური რესურსებით უნდა აშენდეს, ამიტომ გამომდინარე, ქვეყნის ჩართვა ომში სწორედ ასეთ ნაბიჯებს შეუძლია. ჩვენმა ხელისუფლებამ კი არ გადაგვარჩინა ომი, არამედ მივყავდით და ახლაც მივყავართ ომისკენ, ასეთი ნაბიჯები აუცილებლად გაამწვავებს სიტუაციას და რუსეთი კიდევ უფრო მეტი მონდომებით ეცდება, „დაიცვას“ თავისი ყოფილი გავლენის სფერო, დაიცვას, რა თქმა უნდა, ბრჭყალებში, ეს პირდაპირ ნიშნავს ომის დაწყების პროვოცირებას. ასე რომ, ხელისუფლების საუბარი იმაზე, რომ ლოიალური პოლიტიკით რუსეთთან ომი გადავრჩით, არის აბსოლუტურად მცდარი წარმოდგენა.

**- დაბოლოს, 2025 წელი საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით როგორი იქნება?**

- ჩვენ 2024 წელს შევამოხებთ ღრმა პოლიტიკური კრიზისში, წლის ბოლოს ხელისუფლებამ შინაურ წრეში მოახდინა ე. წ. პრეზიდენტის ინაუგურაცია. ფაქტობრივად, ეს წელი დაიწყო კრიზისით, შესაბამისად, მოვლენები დიდადაა დამოკიდებული ქართველი ხალხის გონიერებაზე, რომელიც აწარმოებს ლეგიტიმურ პროტესტს, ასევე, არსებული ხელისუფლების გონიერებაზეც. მთავარი ამოცანა უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ არ დავიღალოთ და პროტესტი იყოს განგრძობადი, ასევე, მშვიდობიანი, არ მოხდეს პროტესტის კომპრომეტირება რაიმე ძალადობრივი მეთოდით, თუნდაც შემოგზავნილი ადამიანების მხრიდან პროვოცირების მოწყობით. ასე რომ, ეს წელი იქნება მძიმე ჩვენი ქვეყნისთვის. ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, ჩვენ გველოდება შემოდგომაზე არჩევნები და ეს არჩევნები უნდა ჩატარდეს თვითმმართველობის არჩევნებთან ერთად, რასაც უნდა ერთვოდეს დაკავებულების გათავისუფლება. ყველაზე უარესი ვერსია არის ის, რომ თუ ხელისუფლებამ გააგრძელა ჩვეული რიტორიკით საუბარი და მოქმედება, ქვეყანა სრულ იზოლაციაში აღმოჩნდება, რაც საქართველოსთვის სავალალო იქნება.



# „მთავს გადადგამ, სრამის შეიშრობ და გზას ბაბრძილავ ღიმილით...“

მატიანე ხოთაბაძე 27 48 93

ჩვენი სტუმარი ორგანიზაცია „მომაველის პალიტრის“ დამფუძნებელი, ასევე სატელევიზიო პროექტ „პატარა ამბების“ ავტორი, წარმატებული ახალგაზრდა **თამარ ტულუში**. იგი პროფესიით ჟურნალისტი, თუმცა სხვა საქმიანობებიც შეისწავლა და სხვადასხვა მნიშვნელოვან შემოქმედებით პროექტსაც ახორციელებს. დღეს მკითხველი მას უკეთესად გაიცნობს.

- თამარ, ორგანიზაცია „მომაველის პალიტრის“ დამფუძნებლის მთავარი მოტივაცია რა იყო?

- ამის მიზეზი გახლდათ სურვილი, მეტადამიანს მივცე არაფორმალური განათლების მიღების საშუალება. ორგანიზაცია გულისხმობს, რომ იდეურად მეტი კრიტიკოსი გყავდეს დადებითი კუთხით, იბოვო ფინანსური მხარდაჭერები, ფილანტროპიად რომ არ ჩავთვალოს საზოგადოებამ.

- რა საგანმანათლებლო პროგრამებს სთავაზობთ ბავშვებს?

- ჩვენი ორგანიზაციის წევრი მოზარდები, არაფორმალური განათლების ფარგლებში, სწავლობენ მეტყველების კულტურას, წერის ოსტატობას, წაკითხვის გააზრებისა და გადმოცემის უნარების გაუმჯობესებას, მსოფლიო და ქართულ საყმაწვილო ლიტერატურას (პროგრამის სახელწოდებით - „იმოგზაურე წიგნებში“), მსახიობის ოსტატობას, კამერასთან მუშაობას, ასევე, კომპლექსებისა და ქცევის მართვას (ეთიკის ნორმები)...

- როგორ ენმარბა ცენტრი სოციალურად დაუცველ ბავშვებს და როგორია საზოგადოების ჩართულობა?

- თავდაპირველად, მეგობრების დახმარებით, თავდა ვეძებდი ისეთ ბავშვებს, ვისაც ამ სასწავლო კურსს შევთავაზებდი. არიან ისეთები, ვინც შეიძლება არ იყოს ოფიციალურად ბენეფიციარი, მაგრამ საშუალება არ ჰქონდათ მშობლებს, დამატებით წირებზე ატაროს შვილი (ყოფილი პრობლემებიდან გამომდინარე, საკუთარი გამოცდილებით ვიხელმძღვანელებ). პირველად ეს სოციალური პროგრამა მივაწოდე ფერის წმინდა მატათა მოციქულის სახელობის ბავშვთა სახლს და გამართა კიდევ რამდენიმე კარგი, დასამახსოვრებელი აქტივობა მქონდა ბავშვებისთვის. მათგან დღეს ბევრი სტუდენტიც არის და კურსდამთავრებულიც. ქუჩაში რომ მხვდებიან, დიდ სიყვარულს ვიბრუნებ. მადლობა უფალს, რომ, დედა ვინაა ხელშეწყობით, გიმნაზიის აღსაზრდელებთან დღესაც მაქვს თანამშრომლობის საშუალება და ვიმედოვნებ, მიმდინარე წელს ერთობლივად კარგ პროექტს განვახორციელებთ. სახელმწიფო მხარდაჭერითა და სოციალური პროექტების წარმატებით განხორციელების რესურსით, ბენეფიციარების მოზიდვის მხრივ, დავიწყებთ თამამად საუბარი სატელევიზიო შემეცნებით გადაცემებსა და სოციალურ ქსელებში სარეკლამო განცხადებებში. ვცდილობ, ყველა სოციალური ფენა მყავდეს ჩართული ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ ყველა პროექტში.

- როგორ ფინანსდება ორგანიზაცია?

- სახელმწიფოს აქვს ძალიან კარგი ფინანსური მხარდაჭერის პროგრამები საგანმანათლებლო პროექტების ხელშეწყობის მიმართულებით. არიან პირები, რომლებიც ინდივიდუალურად აფინანსებენ ამ თუ იმ პროგრამას, ასევე, კომპანიებიც, რომლებსაც მინიმალურ საბარტერო პიარკამპანია ვთავაზობთ.

- როგორც ვიცით, სხვადასხვა პროექტზე მუშაობთ. გაქვთ თუ არა პროექტი, რომელიც განსაკუთრებით გააძვირებთ?

- ასეთი პროექტი იყო „არ დავივიწყეთ ქართული“. უნივერსიტემა ფილოლოგმა შორენა ვერძაძემ შექმნა არაჩვეულებრივი სცენარი - ნოდარ დუმბაძის 4 მოთხრობა - „მე, ბებია, ილიკო და ილირიონი“, „მე ვხედავ მზეს“, „ბოშები“ და „ხაზარულა“ საოცრად შეკრა. სიყვარულზე, ომზე იუმორით დანახული რეალობა და 4 პატარა ამბავი მოზარდებმა სცენაზე არაჩვეულებრივად გადმოიტანეს. შარშან პროექტში ჩავრთეთ ქედის სახელოვნებო სკოლის მოზარდები, რამაც დიდი ბედნიერება მომანიჭა. მადლობა თითოეულ მონაწილეს, პროექტში ჩართულ პედაგოგებს და სახელოვნებო სკოლის დირექტორს, ქალბატონ ირინა დევიძეს. ასევე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრს, ქალბატონ მია ხაჭიშვილს, რომელმაც ამ პროექტს ნდობა და მხარდაჭერა გამოუცხადა. აღნიშნული სპექტაკლი იუსუფ ზოაძის სახელობის ხულოს დრამატული თეატრშიც ვაჩვენებთ.



ტრშიც ვაჩვენებთ, ხოლო ნოდარ დუმბაძის დაბადების დღეზე, ეპიზოდური მიზანსცენებით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჩავდივით და სახლ-მუხუმიც ეზოში ჩვენი რეგიონის მოზარდთა ნიჭიერება წარმოვაჩინეთ.

- სატელევიზიო პროექტ „პატარა ამბების“ ავტორი ხართ. როდის და როგორ დაიბადა მისი შექმნის იდეა?

- ეს პროექტი ჩემი სულის ნაწილია. რატომ „პატარა ამბები“? მე ვარ ადამიანი, რომელსაც „მიყვარს დიდი ამბის პატარა ამბობა ტელევიზიის ხელმძღვანელ რიჩარდ ტოტოჩავას, რომელმაც პროექტის ზრდისა და განვითარების საშუალება მომიცა. ვიმედოვნებ, მალე ერთ რუბრიკას აუცილებლად განვახორციელებ კვლავ ბათუმი TV-ის ეთერით.

- აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სპორტის დეპარტამენტში მუშაობთ. რა არის თქვენი ძირითადი მოვალეობა და როგორ უწყობს ხელს სპორტის პოპულარიზაციას?

ძალიან კარგი მიღწევები გვქონდა. 2023 წელს ფრენბურთში ხულოს რაიონის სოფელ უჩხოს ბიჭების გუნდი გახდა საქართველოს ჩემპიონი, რომელიც 2024 წელს სერბეთში მსოფლიო ჩემპიონატზე იმყოფებოდა. შარშან მაგიდის ჩოგბურთში სოფელ ვაშლოვანის გოგონების გუნდმა გაიმარჯვა და საქართველოს ჩემპიონი გახდა. ფრენბურთში ისევ სოფელ უჩხოს ბიჭების გუნდი იყო პირველი, ფეხბურთში კი ბათუმის მე-8 სკოლის გოგონათა გუნდი გახდა საქართველოს ჩემპიონი

ბად გულში შენახვა“. მოგესხენებათ, პროფესიით ჟურნალისტი ვარ, როცა დამალა ქართულმა სატელევიზიო სივრცემ და ეკრანს მოვიცილდი, სხვადასხვა საჯარო სამსახურში ვიმუშავე. შემდეგ ივენთმენეჯმენტი და სოციალური მედიის მართვა შევისწავლე. მუდმივად ვცდილობდი, პროფესია ჩემს ცხოვრებაში რაღაც საინტერესო ამბად მექცია. ისე მოხდა, რომ TV 25-ის მფლობელის შვილს ქორწილი ჰქონდა და მცირე ორგანიზაციული საკითხის მოგვარება მთხოვეს. სწორედ იქ შევხვდი შემოქმედ ქალბატონ ნარი ჯიჯავაძეს (მფლობელის მეუღლე). ჩემს პროექტს მისი დახმარებით შევასხი ფრთები და მადლობა მას თანადგომისთვის.

- სირთულეებს თუ წააწყდით პროექტის დაწყებისას და როგორ გადალახეთ ისინი?

- ცხადია, სირთულეების გარეშე აქამდე ვერ მოვიდოდი, ეს ნებისმიერ კარგ და მით უფრო შემოქმედებით პროექტებს თან ახლავს. როგორც ამბობენ, ყველაგან გამოჩნდება ერთი „ნიჭიერი“... არ მინდა დავწვრილმანდე, რა როგორ მოხდა... ბევრი ადამიანი შევიცანი... შეუძლია „ქვა ისევ დადოს ამ აგურზე“, ვპატიობ და მეც შენდობას ვითხოვ ამ განცხადებით. მინდა სიყვარულით მეტი კარგი საქმე ვაკეთოთ, ვიდრე მიკერძოებთ. ზოგჯერ თვალები მიფართოვდება, ზურგში დანას რომ ჩაგარტყამენ და მერე ამას მადლიერ მშობლებსაგან ივებ. მადლობა ყველა მშობელს ნდობისა და დაფასებისთვის.

- რა არის ამ პროექტის მთავარი მიზანი და როგორია მისი გავლენა მკითხველზე?

- პროექტის მთავარი მიზანია ლიტერატურული, კულტურული, ისტორიული, სპორტული, შემეცნებითი და გასართობი რუბრიკების წარმოება სხვადასხვა ტელე-რადიოსივრცეში. მკითხველის გავლენა ბათუმი TV-ის დახმარებით შევიგარებინი. უღრმესი მადლობა ტელევიზიის ხელმძღვანელ რიჩარდ ტოტოჩავას, რომელმაც პროექტის ზრდისა და განვითარების საშუალება მომიცა. ვიმედოვნებ, მალე ერთ რუბრიკას აუცილებლად განვახორციელებ კვლავ ბათუმი TV-ის ეთერით.

ლობა ტელევიზიის ხელმძღვანელ რიჩარდ ტოტოჩავას, რომელმაც პროექტის ზრდისა და განვითარების საშუალება მომიცა. ვიმედოვნებ, მალე ერთ რუბრიკას აუცილებლად განვახორციელებ კვლავ ბათუმი TV-ის ეთერით.

- აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სპორტის დეპარტამენტში მუშაობთ. რა არის თქვენი ძირითადი მოვალეობა და როგორ უწყობს ხელს სპორტის პოპულარიზაციას?

- მასობრივი სპორტის განვითარების მიმართულებით ვმუშაობ. ამ სფეროში მოღვაწეობისას საზოგადოებასთან ურთიერთობის პროფესიულ უნარებს მივმართავ. დეპარტამენტი ყოველწლიურად აქტიურად განიხილავს განხორციელებულ პროექტებს და დაგეგმავს ღონისძიებებს, რათა სწორად გაკეთდეს აქციები აღნიშნულ სფეროში არსებულ გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე. მასობრივი სპორტის მიმართულებით ჩვენს რეგიონში მოიცავს სასკოლო სპორტსა და ფიზიკურ აღზრდას, ასევე, საუნივერსიტეტო სპორტს და ასე შემდეგ. ჩამოთვლილი მიმართულებები სპორტის ამ დარგში, აჭარის რეგიონის მასშტაბით, საკმაოდ განვითარებულია. განსაკუთრებით დიდია ჩართულობა მუნიციპალიტეტებში. გასულ წლებში, მუნიციპალიტეტების ჩართულობით, ბავშვთა და სასკოლო მიმართულებით, ძალიან კარგი მიღწევები გვქონდა. 2023 წელს ფრენბურთში ხულოს რაიონის სოფელ უჩხოს ბიჭების გუნდი გახდა საქართველოს ჩემპიონი, რომელიც 2024 წელს სერბეთში მსოფლიო ჩემპიონატზე იმყოფებოდა. შარშან მაგიდის ჩოგბურთში სოფელ ვაშლოვანის გოგონების გუნდმა გაიმარჯვა და საქართველოს ჩემპიონი გახდა. ფრენბურთში ისევ სოფელ უჩხოს ბიჭების გუნდი იყო პირველი, ფეხბურთში კი ბათუმის მე-8 სკოლის გოგონათა გუნდი გახდა საქართველოს ჩემპიონი. წარმატებას ვუსურვებ მათ მიმდინარე წელს. ფედერაციები და სხვა სპორტული ორგანიზაციები მაქსიმალურად არიან ჩართული მასობრივ სპორტში. აჭარის პარალიმპიური ფედერაცია საკმაოდ აქტიური იყო გასულ წელს შუამპირთა ფესტივალის გამართვის კუთხით. ჩატარდა ამპულანტ ფეხბურთელთა ასპარეზობა, შუამპირთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა ტურნირი

ნარდში, დომინოში, ჭადრაკსა და შაშვში. ტურნირზე უსინათლოთა კავშირის 50-მდე შუამპირი დაჯილდოვდა სიგელებით, თასებითა და სხვა წამახალისებელი პრიზებით. წელს იგეგმება „საუნივერსიტეტო სპორტის“ მიმართულების გააქტიურება. ძალიან სასიხარულოა მასობრივი ურთიერთობები სპორტისა და კულტურის სფეროში, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყნის, რეგიონის წარმომადგენლების დისციპლინირებულ ურთიერთობას, სპორტული კულტურის ჩამოყალიბებას მოზარდთა თუ სპორტსმენში. მინდა მადლობა გადავუხადო აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობას, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს ყველა სპორტულ, კულტურულ და ისტორიულ აქტივობას.

- ყველაფერთან ერთად, მოზარდის დედა ხართ, როგორ ახერხებთ ამდენი განსხვავებული საქმიანობის შეთავსებას და ბავშვის აღზრდას?

- კიდევ კარგი, რომ ამ შეკითხვით არ დავიწყებ ინტერვიუ (იცინის). ის „პატარა ამბები“ და სხვა ყველაფერი, რასაც დღემდე ვაკეთებ, არის გზა, რომელიც ვაჟიშვილთან და ჩემს მშობლებთან ერთად გამოვიარე. ჩემი შვილი 5 წლის ასაკიდან ფეხბურთით იყო დაკავებული, ძირითადად, მამაჩემს დაჭყავდა ფეხბურთზე. სხვათა შორის, ჩემი ვაჟი სპორტულ ინფორმაციებს, შემდეგ კი ცნობილ ადამიანებთან ინტერვიუებს წერდა. საერთოდ, რაც მეტ საქმეს აკეთებ, მით უფრო პასუხისმგებლობიანი და დისციპლინირებული ხდები. დროის მენეჯმენტი უნდა შეგეძლოს და საქმის სწორად განაწილება... პანკური შიში მეწყება, როცა საკმაოდ უსაქმოდ ვზივარ (იცინის). ტვინს არ ვასვენებ არასდროს. სამზარეულოში ფუსფუსიც ძალიან მიყვარს და ჩემს შვილსაც უყვარს ჩემი მომზადებული კერძები. არ ვტრიახობ მზარეულობით, ლინდას ჰყვითხეთ, „აფსანდალის“ ავტორს, რა გემრიელი „ფხალობი“ გავაკეთე აჭარის ტელევიზიის ეთერით (იცინის).

- რა არის თქვენი მთავარი მოტივაცია ყოველდღიურ საქმიანობაში?

- რწმენა და ჭეშმარიტი სიყვარული. მადლობა ღმერთს, რომ ეს პასუხისმგებლობა, რასაც დღობა ჰქვია - მაქვს. ეს უსაზღვრო მოტივაციაა ქალისთვის. მთებს გადადგამ, ცრემლს შეიშრობ და გზას გააგრძელებ ღიმილით, რომ ეს გზა გაუნათო შენს სულს, შენს შვილს, ვიდრე ფიზიკურად ცოცხალი ხარ. მე ამ რწმენით ვარსებობ. მამის

გარდაცვალების შემდეგ მას მხოლოდ ფიზიკურად ვერ ვნახულობ, თუმცა ის ჩემს სულშია და გზას გვინათებს მე და ჩემს შვილს დღესაც.

- რა გამოწვევები ყველაზე მეტად?

- საუცხოო რეგიონი გვაქვს... როცა ენერჯია მჭირდება, სანაპიროზე ვავიჯარ. გააჩნია განცდას - ან ზღვის ფსკერზე ვეშვები, ან მთის წვერზე ავიზვირთები სულთან ერთად, ამ ყველაფერს კი უფლის გარეშე ვერასდროს შეიგრძნობს ადამიანი. კიდევ, ცხოველებთან ურთიერთობა მიყვარს.

- რაზე ოცნებობთ?

- აჭარის რომელიმე სოფელში ცხოვრებაზე, სიმწვანეში პატარა სახლზე ლამაზი ბაღით, რომლის მოვლასაც შეგძლებ. შინაურ ცხოველებსაც ვიყვითლებდი სიამოვნებით: ცხვარს, თხას, ძაღლს, ცხენს... სულ თუ გადავსახლდებოდი - ბოროლასაც, სხვათა შორის, შუახევში, სოფელ ფურტიოში ძროხაც კი მოვწვევდი.

- რა გეგმები გაქვთ?

- იცით, რა ვისწავლავ? დაბრკოლებების დროს „ხედავდე ბრმად და ისმენდე მუხჯად“. გეგმებზე აღარ ვსაუბრობ, რადგან თანამოაზრების პოვნა მიჭირს. ეჭვიან ხალხთან ვეღარ ვთანამშრომლობ - რაც შეეხება შემოქმედებით მიზნებსა და ამოცანებს, მაქვს სატელევიზიო რუბრიკების ჩაწერები და ძალიან კარგი სამი ლიტერატურული სცენარი, რომელშიც კვლავ ინტეგრირებულია, აჭარის რეგიონის მასშტაბით, 150-300-მდე მოზარდი ჩაერთვება. პროექტს და საქმეს, რომელსაც ვაკეთებ, სულთიერად ვათავისება და მომავალი თაობის ღირსებით აღზრდის შეგრძნება სჭირდება. დიდი მადლობა, რომ ჩემი დაინტერესდით. წარმატებულ 2025 წელს ვუსურვებ ვაჟთ „აჭარას“ და სრულიად საქართველოს!



# „ოჯახი პიროვნებას კი არა, ქართულ სიტყვას, ეროვნულობას ეფერებოდა“

ოთარ ცინაიძე 599 85 21 14

პოეტი **ლალი მიძინაძე** ამჟამად თბილისში ცხოვრობს და მუშაობს. მისი ცხოვრების, შემოქმედებითი და პედაგოგიური საქმიანობის გარკვეული პერიოდი აჭარას, კერძოდ, ქობულეთს უკავშირდება. შემთხვევითი არ არის, რომ საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის „ზეკართან“ ორგანიზატორმა ვახტანგ ბერიძემ იგი ღონისძიებაზე მოიპატიოთ. ლალიმ სამი დღე დაჭირა აჭარის მთიანეთში, დაათვალიერა ღირსშესანიშნაობები და თავისი პოეზია ფესტივალის მონაწილეებსა და დამსწრეთ გააცნო.



მელი თქვა. აქვე ვიტყვი, რომ დიანა ანფიმიადისთვის ყაბალახის გადაცემა ყველა გავახარა.

ყველა ქართველი თუ უცხოელი მწერალი, პოეტი, მხატვარი უნდა დაესწროს ამ ფესტივალს, გაითავსოს მისი შემოქმედებითი პათოსი. შუახევში, ქედასა და ხულოში ნახანით, რომც არაფერი დაწერო, არ თქვა, მაინც ამაყი და ამაღლებული ხარ. გეგელიძეში, რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატ ფრიდონ ხალვაშის სამკვიდროში როცა მიდიხარ, უყურებ მისი შვილის ზაზა ხალვაშის ფილმებს, ეცნობი სახლ-მუზეუმში შემონახულ უნიკალურ ექსპონატებს, ისმენ მუზეუმის მენეჯერ ლილა კეკელიძის ნაამბობს, მუზეა უეჭველად მოგაკითხავს.

ბევრი ფესტივალს თვალცრემლიანი ტოვებდით...

საზოგადოებას თქვენი შემოქმედებას გააცანი.

არცაა გასაკვირი, ჩვენ ჩაოვილი თამაზ მახარაძის ოჯახი გვამახარებდა, საიდანაც დიდი სიბოძო და სიყვარული გამოგვყვა. ოჯახი 3 დღის განმავლობაში პიროვნებებს კი არა, ქართულ სიტყვას, ეროვნულობას ეფერებოდა.

აჭარაში საქმიანობის დროს ლექსებს თუ წერდით?

ეს ფესტივალის საზეიმო გახსნის დღეს იყო. შუახევის სახელოვნებო და მოსწავლე ახალგაზრდობის სკოლის დარბაზში შეკრებილების წინაშე მისასალმებელი სიტყვით გამოვედი და რამდენიმე ლექსი წავაკითხე. თბილად შემხვდა აუდიტორია. პოეტი ბედნიერი ხარ, როცა შენს შემოქმედებას უსმენენ. ჩვენ წილად გვხვდა პატივი, შემოქმედებითი ღონისძიება პირველებს გაგვემართა შუბნის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის ახლად გახსნილ სამკითხველო დარბაზში. ნიჭიერება, თანამედროვე ეროვნული პოეზიისა და პროზის სიყვარული მოდიოდა ადგილობრივებისგან. საინტერესო იყო ცნობილ ქართველოლოგ ტარიელ ფუტყარაძის ქვრივის, პროფესორ იამზე ვაშაიძის ლექცია „რავიფილ ერისთავი ქართული ენის ლექსიკონსა და სტილის შესახებ“. მისი გამოსვლა არსებულ პრობლემებზე იყო მორგებული, როცა მშობლიური ენის სიწმინდეს აღარ უფრთხილდებიან. დღის ბოლოს ტარიელ ფუტყარაძის სახლი და ეზო მოვიხილეთ. ფეხადგმული პიროვნება რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში საპატიო ადგილს დაიჭერს, მახათას მთაზე სამუდამო სასუფეველს დაიმკვიდრებს, ამაზე მეტი საამაყო რა უნდა იყოს ადგილობრივებისა და 80 წელს გადაცილებული მისი დედის - ნათელა ვაშაიძის - ფუტყარაძისთვის.

კონსტანტინე გამსახურდიას ვაღმერთებ. მიყვარს მისი ნათქვამი: „ხედმა პირში მიგვცა ფანატიკოს აღმოსავლეთს. პიონერი დასავლეთის ქრისტიანული ცივილიზაციისა ქართველი ერი, ჯვარს ეცვა ჯვრისათვის და ქრისტიანული დასავლეთი ფაქტიურად არასდროს მოშველდებია მას. დასავლეთის ქრისტიანული ქვეყნებიც ებრძოდნენ აღმოსავლეთს, მაგრამ მათ მუდამ საერთო ფრონტი ჰქონდათ. ჩვენი მეფეები და მთავრები მუდამ ევროპას უხმობდნენ საშველად, მუდამ მათ გველეს ეძებდნენ და გამოხმარებდნენ მხოლოდ დელიკატურ ეპისტოლეებში იხატებოდა. თუმც შეიძლება ჩვენ გაცილებით მეტი წვლილი შეგვეტანოს ქრისტიანულ კულტურაში, ვიდრე იმ ხალხებს, რომელთაც ორიოდ საუკუნის წინ დააღწიეს თავი ნომადურ ყოფას და დღეს დიდების ამბიციით იხსენიებიან სქელტანიან „ლარუსებში“ და ენციკლოპედიებში. ეს შეგნება და ეს სიამაყე მუდამ შეგვრჩება, მუდამ უთავდავი მტერი გვპოვდება და მეგობარი თითებზე ჩამოსათვლილი“.

გავთვ იდეალი ქართველი კლასიკოსი? კონსტანტინე გამსახურდიას ვაღმერთებ. მიყვარს მისი ნათქვამი: „ხედმა პირში მიგვცა ფანატიკოს აღმოსავლეთს. პიონერი დასავლეთის ქრისტიანული ცივილიზაციისა ქართველი ერი, ჯვარს ეცვა ჯვრისათვის და ქრისტიანული დასავლეთი ფაქტიურად არასდროს მოშველდებია მას. დასავლეთის ქრისტიანული ქვეყნებიც ებრძოდნენ აღმოსავლეთს, მაგრამ მათ მუდამ საერთო ფრონტი ჰქონდათ. ჩვენი მეფეები და მთავრები მუდამ ევროპას უხმობდნენ საშველად, მუდამ მათ გველეს ეძებდნენ და გამოხმარებდნენ მხოლოდ დელიკატურ ეპისტოლეებში იხატებოდა. თუმც შეიძლება ჩვენ გაცილებით მეტი წვლილი შეგვეტანოს ქრისტიანულ კულტურაში, ვიდრე იმ ხალხებს, რომელთაც ორიოდ საუკუნის წინ დააღწიეს თავი ნომადურ ყოფას და დღეს დიდების ამბიციით იხსენიებიან სქელტანიან „ლარუსებში“ და ენციკლოპედიებში. ეს შეგნება და ეს სიამაყე მუდამ შეგვრჩება, მუდამ უთავდავი მტერი გვპოვდება და მეგობარი თითებზე ჩამოსათვლილი“.

ლექსის წაკითხვა არც ჩაოვი დაიზარეთ... როცა ფესტივალის მონაწილეთა შორის გიორგი ხორბალაძის, გიორგი კეკელიძის, იახასიას, სოფიო კუბლაშვილის, ზურაბ ფირცხალაშვილის, ეროვნული ბერძენი დიანა ანფიმიადის, გურამ ჯაუჭაშვილის სადარი ადამიანები არიან, შენც გინდა შენი სათქმელი“.

ელი“ . ეს სიტყვები დღევანდელობას მისცადაგება.

მშობლიურ სოფელზე რას იტყვით? ჩვენს სოფლებს რომ დახმარება სჭირდება, ფაქტია. ხანდახან მხოლოდ ჩასვლა და ხალხთან ურთიერთობაც დიდი რამაა, მით უმეტეს თუ სოფლის სკოლაშიც შეხვალ და ბავშვებს გაესაუბრები. გინდა, არ გინდა, ქალაქის სურნელი და სხვა აზროვნება მიგაქვს და ვინ იცის, ვის როგორ შეეწივა. ვერცერთმა მთავრობამ ვერ მოახერხა, სოფელი მოეღონიერებინა და მიგრაცია შეეჩერებინა. არადა, ქართული სოფლის სიკვდილი შეიძლება?! მივედი ჩემი სოფლის (აბაშა, სამიქაო) საშუალო სკოლაში (აქ მამარჩიე სწავლობდა), სადაც 67 მოსწავლეა მხოლოდ, მე-12 კლასელებს ვესაუბრე ჩემს ფერად-ნულ შთაბეჭდილებებზე. ერთი ჩემი მინიატურაც წავუკითხე. იმათ ანთებულ თვალებს ვხედავდი... მადლობა სკოლის დირექტორს, ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს, ჩემს ლარისასა და ელიკოს. მადლობა წვითა და დავით აქამდე მოტანილი ქართული სოფელი. მადლობა იმათ, ვინც შენი ფასი იცის. . .

აღმსარებლობაზე, ქართულ სალოცავებზე რას გვეტყვით? რამდენჯერ გყოფილვარ რკონის სა-

მონასტრო კომპლექსში, მაგრამ სვიმონ მესვეტის სავანეში ასეა მხოლოდ ერთხელ გავბედე, ციცაბო ფერდობია... სვიმონ მესვეტის სავანე მდებარეობს რკონის მონასტრიდან 400 მ-ზე. თამარის ხილით გადავდივით მდინარე თემის მარჯვენა ნაპირზე და ტყეში მიმავალ ბილიკს შევუყვებით. სვიმონ მესვეტის სავანე სამსართულიანია და თარიღდება გვიანი ფეოდალური ხანი. ამჟამად მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები. საქართველოში არსებული ყველა ეკლესია-მონასტერი მოვლილი მაქვს. მაგონი, ამით ყველაფერი გაითხარო.

მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოთ.

30 ოქტომბერს საქართველოს მწერალთა სასახლეში გაიმართა ჩემი მიერ თარგმნილი თანამედროვე აზერბაიჯანულ მწერალ ქალ აფაგ მესუდის ლიტერატურულ-ფილოსოფიური ჩანაწერების წიგნის „გრძობათა იმპერია“ წარდგენა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ბაქოელი სტუმრები აფაგ მესუდი და აგფენისტყაოსნის აზერბაიჯანულ მთარგმნელი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი იმირ მემედი. ბოლოს, სტუმართა პატივსაცემად, შესრულდა აზერბაიჯანული და ქართული სიმღერები.

ამჟამად უბირველეს საქმედ რა მიგაჩნია?

მოგზაურობა, საქართველოს ყველა კუთხის მონახულება. მოგზაურობის შემდეგ, გინდაც უცხოეთში, უნებლიეთ აღმომხდებდა ხოლმე: „სხვა საქართველო სად არის...“.

## ფასადისა და შიდა სივრცის რეაბილიტაცია დასრულდა

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ფინანსური უზრუნველყოფით, ბათუმში, ასათიანის ქ.№7-ში არსებული ძველის ფასადისა და შიდა სივრცის რეაბილიტაცია დასრულდა. ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო ავრცელებს.



უწყების ცნობით, აღდგა ფასადზე არსებული დაზიანებული ორნამენტები, სარკმლების დეკორატიული არხები, მოწესრიგდა წყალსაწრეტი სისტემა. ასევე, დასრულდა მ. აბაშიძის ქ.№43-ში მდებარე შენობის ეზოს მხარეს დაზიანებული შუშაბანდის რეაბილიტაცია. აღნიშნული ურბანული ძეგლების რესტავრირებისთვის დაიხარჯა 240000 ლარი. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა-რესტავრაციის პროცესი მიმდინარე წელს უფრო დიდ მასშტაბს მიიღებს.

## ქართული ეკლესიის მებარახტრი და მასთან დაკავშირებული ეპიზოდები

მე-6 გვერდიდან

შუახევლებს ზაზა დავითაძეს, რომან ფუტყარაძეს, ზორბეგ ქარცივაძეს, ედნარ კეჟურაძესა და მე წილად გვხვდა პატივი, ბათუმის სამების ტაძარში შეგვედროდით უწმინდესა და უნეტარესს, რომელმაც ჩოხოს ნობა დაგვილოცა.

ბალიტეტების წარმომადგენლებთან ერთად, ხულოს მუნიციპალიტეტის მაშინდელმა გამგებელმა გურამ ხორგენაძემ რეზიდენციაში გვიხმო. მალე უწმინდესთან და უნეტარესთან ილია მეორესთან, სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოს მეუფე სპირიდონთან ერთად ვსაუბრობდით. ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელი ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობებით, არსებული ბუნებრივი რესურსების, განსაკუთრებით, ხე-ტყის მოპოვება-გამოყენებით დაინტერესდა, არც სხალთის ეპარქიაში მიმდინარე პროცესები დატოვა ყურადღების გარეშე. მისი ქადაგებიდან, რომელიც სხალთასა და სვეტიცხოველში წარმოთქვა, ამონარიდები გავიხსენე, ისიც ვუთხარი, პრაქტიკული სამუშაოებით რომ მართლდება

მისი წინასწარმეტყველება. გაიღიმა და თქვა: „ეს საშვილიო ველი საქმეები გახდა წინაპირობა, რომ მეუფე სპირიდონი მთავარეპისკოპოსის ხარისხში ავემადლებინა“.

ისიც გაიხსენა, როგორი მძიმე განსაცდელი ედგა ქვეყანას 1989 წლის 9 და 19 აპრილის შემდეგ, მაგრამ უფლის ნებით, ყველაფერი გადავიტანეთ. მისი ჩართულობით, აჭარის მალაშვილიანეთში საყოველთაო ნათლობა უკვე შესამედ იმართებოდა.

ხიჭაურიდან პატრიარქი ხულოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარში წაბრძანდა და საყოველთაო ნათლობის მსახურებაში ჩაერთო. 1300-ზე მეტ ნათელელებულთა შორის ორი თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები „გურჯი“ იყო.

პატრიარქმა „საპატიო ხულოელი“ იზო-

ლდა სურმანიძე, სხვა ნათელელებულთა მსგავსად, ბიბლიითა და ეპისტოლეით დაასაჩუქრა. ქალბატონ იზოლდასთან შეხვედრისას 1989 წლის 29 მაისი გაიხსენა, როცა სხალთაში ჩამობრძანდა და სტიქიის შედეგად დაღუპულების სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა. ქალბატონმა იზოლდამ მიმართა: „უწმინდესო და უნეტარესო, თქვენთან შეხვედრა ყოველთვის მახარებს. იმ განსაცდელის დღეებში დაწყებული ურთიერთობები კვლავ გრძელდება. ჯანმრთელობა, ქვეყნისა და ერის სამსახურში ყოფნა, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელობა განდოთ უფალმა და მისი ნებით ეს მსახურება დიდხანს გაგვგრძელებინოთ“.

\*\*\*  
გავთვ „აჭარის“ რედაქციის სახელით, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს მოგვიანებით, დაბადების დღეს ვულოცავთ. მას ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს, ეკლესიების გაძლიერებას, თავისუფლების მოყვარე და ნიჭიერი ქართველი ხალხის სამსახურში ყოფნას ვუსურვებთ.

<p><b>მთავარი რედაქტორი</b></p> <p><b>მარიანა მითაიშვილი</b></p>	<p><b>გამომცემი რედაქტორი</b></p> <p><b>ირმა შერვაშიძე</b></p> <p><b>ლიტერატურული რედაქტორი</b></p> <p><b>ეთერ სომარიკი</b></p>	<p>რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.</p> <p><b>R</b> ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.</p> <p>რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.</p>	<p><b>გამომცემელი - შპს</b></p> <p>«ბაზმით აჭარა ლა ალპარია»</p> <p><b>კოორდინაციული მომსახურება -</b></p> <p><b>შპს «კოლორ პრინი»</b></p> <p><b>მის: ქ. თბილისი, ქ. ბაგდავაძის ქ. №3</b></p>	<p><b>მისამართი: 6000,</b></p> <p><b>ბათუმი, გრიგოლშვილის ქ. №2</b></p> <p><b>ტელ: 27-13-31</b></p> <p><b>ინფო და დაკავშირება</b></p> <p><b>გაზეთ აჭარის ქომა. ცენტრი</b></p> <p><b>დასაბავსებელი ხელმოწერა 16/01/25, 18 15 სთ.</b></p>	<p><b>დირექტორი</b></p> <p><b>მამუკა ბერიკე</b></p>
------------------------------------------------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----------------------------------------------------

